ოსმალეთის ყოფილი საქართველო, ქართველ მაჰმადიანთა

და

ა ჭ ა რ ი ს ტ ა ნ ი ს

ისტორიის კონსპექტი

1452 – 1926 წლებში

აღწერილი და გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან.

1927
ტფილისი

ოსმალეთის ყოფილი საქართველო და ქართველ მაჰმადიანთა

ისტორიის კონსპექტი

1452 – 1926 წლებში

აღწერილი და გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან

1927
ტფილისი

ოსმალეთის ყოფილ საქართველოს და ქართველ მაჰმადიანთა ისტორიის კონსპექტი.

1452 წელს ოსმალეთის სახელმწიფომ სასტიკათ დაამხეს ბიზანტიის სახელმწიფო. ამის შემდეგ ოსმალნი საქართველოსკენ წამოვიდნენ; პირველად ისინი ლაზისტანში შევიდნენ, მაგრამ ლაზებმა სასტიკათ დაამარცხეს და საზღვრებიდან გააძევეს.

1453 წელს ოსმალნი ლაზისტანში ჩუმათ შემოიპარნენ. მათ იმედი ჰქონდათ, რომ ლაზებს ჩუმათ, მოტყუებით, დალოლიებით და ქრთამების მიცემით აიყოლიებდენ, მაგრამ მოტყუვდნენ. ლაზები მხნეთ დაუხვდნენ და ოსმალნი სასტიკათ დაამარცხეს და გააძევეს ძლეულნი.

1461 წ. სამცხე-საათაბაგოს ყვარყვარე ათაბეგს ოსმალნი შემოესივნენ, ართვინამდის დაიპყრეს, მაგრამ ბოლოს ვერ გაიმარჯვეს, ს დამარცხებული იქნენ და გაძევებულნი.

1462 წ. ყვარყვარე ათაბაგი ამხედრდა გურიელის დახმარებით და ოსმალნი დაამარცხეს და გააძევეს.

1463 წ. ყვარყვარე ათაბაგს ოსმალთ პირობა მისცეს, რომ ჩვენ აღარ შემოვალთ სამცხე-საათაბაგოშიო.

1465 წ. ყვარყვარე ათაბაგს და იმერეთის მეფე გიორგის შუა უგუნური უსიამოვნობა ჩამოვარდა. ყვარყვარე ათაბაგმა მეფე გიორგი დაიჭირა და გააძევა უვნებლად.

1466 წ. მოკვდა ყვარყვარე ათაბაგი, სამცხე დაიჭირა იმერეთის მეფე გიორგიმ და აჭარაში გამეფდა.

1472 წ. უზუნ ჰასან, სპარსეთის ყეინი, შევიდა ბიზანტიაში. გზათ მიმავალმა სამცხე-საათაბაგოც აიკლო, ბოლოს, სძლიეს ქართველებმა ჰასანი და დიდი დამარცხებით გააძევეს იგი სამცხიდამ.

1474 წ. სამცხე-საათაბაგოში არზრუმიდან შემოვიდა ჭირი. ეს ჭირი ისე გავრცელდა, რომ ამისაგან მოკვდა ბაადურ ათაბაგი.

1475 წ. ოსმალებმა ისარგებლეს ჭირის გაჩენით და სამცხეში შემოიპარნენ, მაგრამ ვერა გააწყეს-რა, ქართველებმა ისე სძლიეს,

რომ ოსმალოების ერთი კაციც კი არსად არ დარჩა მთელს სამცხე-საათაბაგოში.

1481 წ. იმერეთ მეფე კოსტანტინე ვერ მოიქცა კარგათ. დიდი ჭორების წყალობით ბრძოლა მოუხდა მანუჩარ ათაბაგთან. საათაბაგო დაამხეს.

1483 წ. ჩვენდა სამარცხვინოთ, იმერეთის მეფე კოსტანტინე და ყვარყვარე ათაბაგი შეიბნენ. ათაბაგმა გაიმარჯვა და მეფე, შერცხვენილი გააძია. ამ გამარჯვებით ათაბეგს დიდი დახმარება მისცა კახაბერ გურიელმა.

1484 წ. იაყუბ ყაენი შევიდა სამცხეს, რომელმაც აწყვერი დაიჭირა; აქედამ ის ახალციხეში წავიდა და სხალციხე დაიჭირა; ხალხი დაატყვევა, ზოგიც დახოცა, მერე ქართლს შეესია, ყეენი ბარათაშვილებმა დაიჭირეს; ქართველ ათაბაგს აჭარლები და შავშელნიც ეხმარებოდნენ.

1488 წ. მოკვდა მანუჩარ ათაბაგი. დაჯდა ყვარყვარე, ძე აღბუღასი. ამ დროს გამაგრებულ იქმნა ართვინი, ბორჩხის გზა ამოქოლილი. ბათუმი, კახაბერი, ქობულეთი, აჭარა, ლიგანის ხევი და სხვა მრავალი ადგილები გამაგრებულ იქმნა. ამის შემდეგ ქართველებმა ბრძოლა გაუმართეს ოსმალოებს; ომში სძლიეს ოსმალნი და დამარცხებულნი გააძევეს.

1494 წ. ათაბაგმა ყვარყვარემ რაღაც მტრობა დასწამა ქართლის ხალხს, თრიალეთის გზით გადმოვიდნენ ქართლში, მაგრამ ვერაფერი გააწყეს. ქართველები გმირულათ დაუხვდნენ და ოსმალნი დაამარცხეს და დასირცხვილებულნი გააძივეს. ამის შემდეგ ათაბაგი და ქართველნი ჭკუაზედ მოვიდნენ.

1496 წ. გამოჩნდა შაჰ-ისმაილი; იგი შევიდა სამცხეში, მაგრამ სამცხელებმა სძლიეს. ამ ბრძოლაში დიდათ გაითქვეს სახელი მაჭახელელთა. შაჰი სძლიეს და დამარცხებულნი გააძიეს. ამის შემდეგ მან ადრაბდაგანი (ადერბეჟანი) დაიპყრო.

1500 წ. ბათუმთან მოხდა ოსმალთა დიდი ბრძოლა, მაგრამ მათ მაინც ვერ დაიჭირეს ბათუმი. ამ ომის მეთაურობას სწევდა ქაიხოსრო ათაბაგი. ამ ომში მძლავრად იბრძოდენ ქართველები, აჭარლები, ლიგნის ხეველნი, მარადელები, რომელთაც დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინეს. ოსმალნი დაამარცხეს და გააძევეს. ამ ბრძოლაში მოკლეს ქაიხოსრო ათაბაგიც.

1502 წ. გაათაბაგდა ძე ქაიხოსროსი, მზედ ჭაბუკი; ამის დროს ოსმალნი ძლიერ დაირაზმნენ და მათ მრავლად და ხშირად იწყეს

გადმოსვლა ართვინის მხრით. ამავე დროს ოსმალთ იხმარეს ოსტა-ტობა და სამცხე-სათაბაგოს თავად აზნაურობას შესყიდვა დაუწყეს.

1504 წ. ოსმალნი ევროპიელის იარაღით შემოვიდნენ კლარ-ჯეთში (ართვინთან). იქიდან წამოვიდნენ ბათუმზედ; მათ შეუერთდა ათაბაგი მზეთ ჭაბუკ დიდი, ოსმალთ სამცხე-საათაბაგო დაიმორჩი-ლეს, ბათუმში გამაგრდნენ, იქიდამ გურიაზედ და იმერეთზე წამო-ვიდნენ, იმერეთს შეესივნენ, გელათი დასწვეს ბაგრატის ტაძარიც გაძარცვეს.

ამ ომის დროს მზედ ჭაბუკი ოსმალთ გადუდგა, იმერეთს შე-უერთდა და ოსმალებს შეებნენ, ოსმალნი სასტიკათ დაამარცხეს და იმერეთიდან განდევნეს, გურიაში ჩარეკეს, იქ გურულებიც მაგ-რა დაუხვდნენ და გურიიდანაც ოსმალნი დიდის დამარცხებით გა-რეკეს, გურიიდამ გარეკილი ჩაქვამდის მიიყვანეს. ჩაქველთაც დიდი გმირობა გამოიჩინეს: ოსმალნი სძლიეს, ისეთი შავი დღე დააყენეს ოსმალოებს, რომ იმათ ბათუმში ვეღარ გაბედეს შესევა და დიდის დამარცხებით იქნენ გაძევებულნი. ამ ბრძოლაში დიდათ ისახელეს თავი ჩაქველ გორგაძეებმა, ბოლქვაძეებმა, ცეცხლაძეებმა და სხვებმა.

1506 წ. ათაბაგ მზედ ჭაბუკი დროებით კოსტანტინეპოლში გადასახლდა საცხოვრებლად. იქ ამან გერმანელი მისიონერები გა-იცნო, მათგან ლიუტერის სწავლაც მიიღო; მან ისურვა, რომ მთელ სამცხის ხალხსაც ლიუტერის სწავლა მიეღო, ამიტომ ჭკვიანმა მზედ ჭაბუკმა საათაბაგოში ლიუტერის სჯულის მისიონერებიც შემოიყვა-ნა. მისიონერები ბათუმში დამკვიდრდნენ. ქობულეთში სამოცი კომ-ლი დაუკავშირეს ლიუტერის სჯულს, ბათუმში კი ორმოცი კომლი. ბათუმიდან ისინი ახალციხეში გადავიდნენ ლიუტერის სჯულის სა-ქადაგებლათ. იქ ყველაზედ უწინ თურმე ჯაყელების გვარის წევრთა ექვსი კომლი შეუერთდა ლუტერის სჯულს. ახალციხეს ეკლესიაც ააშენეს. ამათ მოძღვრების გავრცელებას ის გარემოება კი უშლი-და ხელს, რომ მათმა პასტორებმა ქართული ენა არ იცოდნენ. ამი-ტომ მათი საქმე კარგათ ვერ წავიდა და ისინი უკანვე დაბრუნდნენ. ამის შემდეგ ლიუტერის სჯულის ქართველები კათოლიკებს შეუერთ-დნენ, რადგანაც მაშინ საქართველოში და ნამეტურ სამცხეში კათო-ლიკობა ბრწყინავდა. ნახეთ ამაზედ ჩემი წიგნი „ლიუტერის სჯუ-ლის ქართველები“, გამოცემა 1915 წ.

1509 ოსმალნი კვლავ შემოიპარნენ ლაზისტანში, მაგრამ ვერა გააწყეს რა. ლაზებმა დაამარცხეს და ოსმალნი სულ განსდევ-ნეს. ამ დროს ათაბაგი აჭარაში იყო, ბათუმში ჩავიდა და ბათუმი

ახალი ჯარით გაამაგრა და ბათუმის სიმაგრე მითა ჰყო უზრუნველ-ყოფილი. ბათუმის გამაგრებაში დიდათ ხელს უწყობთნენ თურმე მა-რადიდელი მენავეები.

1513 წ. ოსმალნი სამცხე-საათაბაგოს ზოგს ადგილებში შემოი-პარნენ. მაშინ ქართველებს და ოსმალებს შორის მოხდა დიდი ბრძო-ლა. ფორჩხის გზით ლაზები გადმოვიდნენ სამცხეში. ქართველები ოსმალთ შეებნენ და ძლეული ოსმალნი განდევნეს. კახაბერში ისე გაწყვიტეს ოსმალნი, რომ მათგან თურმე აღარავინ დარჩენილა. ამ ომის დროს ლაზებმა და ქართველებმა ოსმალეთს დიდი ზარალი მი-აყენეს და ისე განდევნეს იგინი.

1515 წ. ოსმალნი კვლავ შემოვიდნენ ბათუმში. იქ მათ დახვ-და მზეთ ჭაბუკ დიდი. იმ დროს ამას დიდი ჯარი ჰყვანდა. ამ ჯარ-ში თურმე მრავლად ერივნენ მაჭახელელნი, აჭარელნი, შავშელნი, ლიგნის ხეველნი, ჩაქველნი და ქობულეთელნი მრავლად. ამათში გურულებიც ბევრნი ერივნენ თურმე. მაჭახლელების ბრძოლამ ათა-ბეგი გააკვირეს, ამიტომ მაჭახლელები ბრძოლის შემდეგ მზედ ჭაბუკ-მა ბატონყმობისაგან გაანთავისუფლა და მთელ მაჭახლის ადგილებიც მათ აჩუქა საკუთრებათ (ოზ. მაზ. არქივის ცნობით). ამ ბრძოლაში დაიჭრა ათაბეგიც.

1516 წ. ათაბაგი მზედ ჭაბუკ დიდი მიიცვალა. გაათაბაგდა მი-სი ძე ყვარყვარე. ესეც მამის მსგავსი კაცი იყო. ყვარყვარემ ზღვის პირებს დაუწყო გამაგრება და ბათუმში დიდძალი ჯარი ჩააყენა. ჯარში უმეტესათ ერივნენ აჭარელნი, მაჭახელნი, ლიგანის ხეველნი, მურღულელნი, იმერ ხეველნი და სხვანი. ამ ჯარის საქმე ყვარყვარე ათაბეგმა ძრიელ გაამაგრმა, მათ მისცა დიდი ძალი საომარი იარა-ღი და სხვაც ბევრი რამ. ჯარი თურმე იყო ათი ათასი კაცი. მარა-დიდს 120 მეომარი ჰყვანდა, მურღულიდამ 160 კაცი, გამოჩენილი გმირები. ესენი ოსმალთა ჯარს მუდამ თავზარსა სცემდენ.

1517 წ. (ოზ. მაზ. არხ. ცნ.) კახაბერში შემოიპარნენ ოსმალნი. მათ იქ დახვდათ ათაბაგი ყვარყვარე. იქვე იყო მაშინ კახაბერ გუ-

რიელი გურულებით. ოსმალებთან ომი მოხდა. ამ ომში მთავარ სა-
რდლათ კახაბერ გურიელი იყო, ხნიერი კაცი. კახაბრის მხნეობით
გაიმარჯვეს-ქართველებმა. ამ ომში ყველაზედ დიდათ თავი ასახე-
ლეს გურულებმა, მურღულელებმა, აჭარლებმა და სხვებმაც. ბათუმი-
დამ ოსმალნი დიდის დამარცხებით და ზარალით გააძიეს.

1518 წ. ყვარყვარე ათაბაგმა მურღულელები მთლად გაანთა-
ვისუფლეს ბატონყმობიდან და მით მურღულში თავად-აზნაურობა

მოიშალა. მურღულის ადგილები მთლად ხალხის საკუთრება გახდა.
ამ წესებმა იქ გასტანა 1528 წლიდამ 1878 წლამდის. როცა მურ-
ღულის ხალხმა ისლამი მიიღო, მაშინ ისინი ისლამს ამ წესებით და
ხვდნენ და ჩაბარდნენ.

1519 წ. (ოზ. მაზ. არ. ცნ.), ბათუმის გვერდით ქართველ ჯარს,
რომლებშიაც იყვნენ გურულები, ქობულეთელნი, ჩაქველნი, მარადი-
დელნი, აჭარელნი, მაჭახლელნი, ლიგანის ხეველნი, შავშელნი, იმერ
ხეველნი, მურღულელნი, ზეგნელნი და სხვანიც მრავალნი რიცხვით
25 ათასი კაცი, რომელნიც იცავდნენ ბათუმის ციხე-სიმაგრეებს იქ
იყო კახაბერიც, რომელიც ჯარს მეთაურობდა. ერთ დღეს, რაღაც
შემთხვევით, ოსმალთა ურდოები გამოჩნდა ზღვაში, ნავებით. მაშინ
კახაბერი წარსდგა ჯარის წინაშე და ასეთი სიტყვა უთხრა ჯარს:
,,ქართველებო! იცოდეთ, რომ ეს ადგილები და ქალაქი ბათუმიც
ჩვენ წინაპარ ქართველებისა იყო და არა სხვების; ქართველნი ერთ
მტკაველ მიწას არავის დაუთმობენ ადვილათ; თითო გოჯ მიწაში
ჩვენი წინაპრებისგან თითო ჩაფი სისხლია ჩაღვრილი და ისეა იგი
დაცული და შენახული“-ო.

მარადიდელებმა და მაჭახლელებმა შესძახეს: „კახაბერო, ბატო-
ნო! დედა შეერთოს ცოლათ, ვინც ოსმალებს და ან სხვებს მტკაველ
მიწას დაუთმობს. ჩვენც ისევე ვიქმთ და ჩვენს მიწის ერთ მტკაველი
არავის დაუთმობთ. ჩვენ ფეხს არ მოვიცვლით, აქედამ არსად წა-
ვალთ და ჩვენს მტერს ოსმალოებს კი აქ არ შემოუშვებთ“-ო.

კახაბერმაც შეაქო ისინი და ადიდა მათი გმირობა. ამაზედ
თქმულა: „ყველა კაცი კაციაო, კახაბერი კი სულ სხვაარ“.

1520 (ოზ. მაზ.), ოსმალნი შემოვიდნენ კახაბერში. მაშინ
წკახაბერში იყო 1200 კომლი, აჭარელ ქართველთ ოჯახები, რომელ-

ნიც იქ იცავდენ თავიანთ ყანებს. ოსმალებმა ეს ქართველები სასტიკათ დაამარცხეს. ისეთი უბედური დღე დაუდგათ აჭარლებს, რომ იქ ამათი კატა და ძაღლიც კი უპატრონოთ დარჩნენ და ქათმებიც სულ ტურებმა დაჭამეს. ასე აოხრდა კახაბერი და დაწიოკებულ იქმნა ოსმალთაგან ეს ათას ორასი ოჯახი ქართველებისა, რომლებიც სულ მოისპნენ და დაიქსაქსნენ აქეთ-იქით.

1521 წ. ეს ამბავი შეიტყეს გურიაში. იმ დროს გურიას განაგებდა კახაბერ გურიელი (მეოთხე). ამან თავს იდვა ოსმალთა გიძევება კახაბრიდამ. შეიყარნენ გურულები, ქობულეთელები, ჩაქველნი, მივიდნენ კახაბერში და ოსმალებს შეებნენ, რომელთაც შავი დღე დააყენეს. წართმეული საქონელი ისევ უკან დაიბრუნეს და მის მე-

რე დიდის ზარალით გარეკეს დამარცხებული ოსმალნი კახაბრიდამ და ბათუმიდან.

1522 წ. (ვახუშტით) მოვიდა სამცხეში დევალი (?). ამან დაამარცხა იმერეთის მეფე დავითი, საათაბაგოც დაიპყრა. შემდეგ ქართველი ერი ამხედრდა და სასტიკი ბრძოლა გაუმართეს დავალს. ის დაამარცხეს და სამცხე-საათაბაგოც გაანთავისუფლეს ოსმალთა ტყვეობისაგან.

1525 წ. ოსმალებმა გამოგზავნეს შესანიშნავი კაცი და მათ სურდათ სამცხის ათაბაგის ფულით და ძვირფასი ნივთებით შესყიდვა მისი და მის საშვალებით დაპყრობა სამცხე-საათაბაგოსი. ამ დროს ათაბაგი ბათუმში იყო. ოსმალებმა ვერაფერი გააწყეს და უკან გაბრუნდნენ.

1529 (ვახუშტით) სულთან სულეიმანი ერევანზედ მოვიდა, სომხეთი დაარბია, იქიდან ის გადმოვიდა ქართლში. ქართველებმა გააძიეს ისინი, ქართლში ძლეული სამცსე-საათაბაგოში გადავიდა. იქ ომი მოუხდათ. აჭარლებმა დაამარცხეს და ოსმალნი განსდევნეს. აქ ომი ისეთი ძრიელი იყო, რომ აჭარლებს და ქობულეთელებს შველოდნენ მეგრელები და გურულებიც. ამ ომში მოკლეს მთავარი დადიანი, გურიელი კი დაიჭირეს, რომელიც მისმა შვილმა როსტომმა დაიხსნა.

1535 წ. იმერეთის მეფემ შურით ათაბაგს მტრობა დაუწყო. ეს მტრობა იყო შინაური ბოროტება და ტუტუცობა ისე, როგორც

ამას ჩვეულები არიან ყველა მეფენი, მთავრები და ერისთავები. იმერეთის მეფის ჯავრზედ, ქაიხოსრო ათაბაგიც მტრობით შეირაზმა ქართველებზედ. იგი კოსტანტინეპოლს წავიდა საქართველოს საღალატოთ. მან შესჩივლა სულთანს, რომ მე იმერეთის მეფე მტრობს და თქვენ თუ დახმარებას მომცემთ ჯარით, მაშინ თქვენი ერთგული ვიქნებიო. ათაბეგს მისცეს ჯარი. მან ეს ჯარი შემოიყვანა იმერეთში და ქართველებს შეებრძოლნენ. ბასიანზედ ქართველებმა გაიმარჯვეს. ამ ომში ორს ფაშას თავი მოსჭრეს ქართველებმა. ათაბაგი სამცხეში გამაგრდა.

1536 წ. (ვახ.) მოვიდა სულთან სულეიმანი. კარი (ყარსი) აიღო და აღაშენა, ბასიანს დადგა აქ ამას სპარსნი შეებრძოლნენ, კარი წაართვეს და დააქციეს. ხონთქარი უკან გაბრუნდა. ყეინი ქართლში შემოვიდა და ქართველები ანუგეშა, რომ ოსმალოებს არ მიგცემთ თქვენაო.

1541 წ. (ვახ.) ოსმალეთის ჯარს და ქაიხოსრო ათაბაგს შეებრ-

ძოლა იმერთ მეფე. ბაგრატმა გაიმარჯვა, ათაბაგიც დაამარცხა და სამცხე-საათაბაგოდან ოსმალოს ჯარი სულ გარეკა.

1545 წ. ლუარსაბ და ბაგრატ მეფეს ბასიანზედ ომი მოუხდათ, ოთხ ფაშას თავი მოსჭრეს და ათაბაგს შეებნენ. ქართველები დამარცხდნენ; ათაბაგმა სამცხე დაიჭირა.

1549 წ. ოსმალთ სამცხე-ტაოს ქვეყანა დაიჭირეს. შემდეგ ქართველებმა სძლიეს და ოსმალნი გააძიეს.

ათაბეგის შვილი მანუჩარი დაიბადა.

1552 წ. შაჰ-აბასი ქართლში შემოვიდა. ქართლიდამ ის საათაბაგოში წავიდა საომრდ. ათაბაგი მოეგება. სპარსთა აიღეს ვარძია, თმოგვი, ვანის ქვაბეში, აწყვერი, ასპინძა და სრულიად სამცხის ციხე-სიმაგრენი. მცირე ხნის შემდეგ, სამცხელთ ყეინი გამოაძევეს სამცხიდან დამარცხებული.

1556 წ. (ვახ) მოვიდა სფლთან სულეიმანი. კარი (ყარსი) აღაშენა. ბასიანს დადგა. ამას მოუხდა შაჰ-თამაზ სპარსეთის ძე ისმაილი, რომელმაც კარი აიღო, დააქცია, არტაანს დადგა, მერე ყეინი ქართლს ჩამოვიდა. ქართველთ დიდებულნი ტყვედ იპყრა. სამცხე სპარსთაგან თავისუფალ იქმნა.

1561 წ. სიმონ მეფე დაძე მისი გიორგი შავერდი სულთანს შაებნენ. შავერდიმ გაიმარჯვა. ამ ომში მოკლეს ლევან მეფის ძე გიორგი. მერე შეითქვნენ ქართველნი და შავერდი სულთანი დიდის დამარცხებით გააძევეს.

1562 წ. იმერეთის მეფე გიორგიმ და ათაბაგმა პირობა შეკრეს ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მერე შეებნენ ოსმალებს და დაამარცხეს ისინი და სამცხე საათაბაგოდან განსდევნეს.

1565 წ. (ოზ. მაზ.) ოსმალნი შემოიჭრნენ სამცხეში. ქართველთ და ოსმალთა შორის დიდი ომი მოხდა ჭოროხის ხეობაში. ამ ომში მარადიდელებმა დიდი გმირობა გამოიჩინეს. ამ ომს ხელმძღვანელობას უწევდა, ანუ მთავარსარდლობდა კახაბერი (?). ეს კახაბერი დიდი მებრძოლი იყო. ზოგნი ამ კახაბერს მთავრის აბაშიძეთ იტყოდნენ. აწინდელ ბათუმის სანჯაყ ბეგ აბაშიძეები ამ კახაბრის ჩამომავალნი არიანო. ქართველებმა გაიმარჯვეს და ოსმალნი გააძევეს დიდის ზარალით.

1574 წ. (ოზ. მაზ.) ყიზილბაშნი შეესივნენ სამცხეს, უმეტესათ ოცხე მოსწყვიტეს და მოსპეს. მერე მოხდა დიდი ბრძოლა. სამცხელებმა გაიმარჯვეს და ყიზილბაშნი გააძიეს.

-10-

1578 წ. აგვისტოს ლალა ფაშა შემოვიდა სამცხეში ფაშას დიდი ძალი ჯარი ჰყავდა და ევროპიული ზარბაზნები. ფაშამ გაიმარჯვა შემოსვლის დღეს. მერე სამცხეში გადმოვიდა ის. სამცხეში მას ქართველები სასტიკათ მეებნენ. ფაშა სძლიეს. ამის შამდეგ ფაშა გაბრუნდა უკან.

1579 წ. ოსმალნი კვალად შემოვიდნენ სამცხე-საათაბაგოში. ომი მოხდა ქართველებს და ოსმალოებს შორის. ამ ომში ლალა ფაშა იყო მთავარ სბრდალი. ქართველნი დამარცხდნენ, ოსმალებმა გაიმარჯვეს. ათაბაგი ომის დროს ტყვეთ ჩაიგდეს ხელში. ის არზრუმში გაგზავნეს და მის შემდეგ ოსმალოებს დიდი ძალა მოეშველათ და მით გაგულისდნენ. ამ დროს ოსმალებმა დააწესეს სანჯაყობა, ოსმალური წესები და წყობილება.

1580 წ. ათაბაგი (ყვარყვარე) სტამბოლს წავიდა. ათაბაგი სტამბოლში ოსმალეთის დიდ მოჭიდავეს შეეჭიდა და დასცა ის. ამიტომ ყვარყვარე ათაბაგი სულთანმა გაანთავისუფლა. ათაბაგი და-

ბრუნდა საქართველოში. ამავე წელს ხვანთქრად დაჯდა მურად-სულთანი. ამან რამდენჯერმე აიკლო საქართველო. იგივე იყო დიდი ოსტატი და ბოროტი. ქართველ დიდკაცებს თავისკენ იბირებდა ქრთამებით და იერთგულაბდა მათ. გაირყვნა ქართველი სახელოვანი ხალხი. ოსმალთაგან მათ ისწავლეს ქვეყნის ღალატი, ჯაშუშობა, გაცემა და მრავალი ასეთები, რომელმაც უფრო ხელი შეუწყო ოსმალთა მართვა-გამგეობის საქმეს სამცხეში.

1594 წ. გახონთქარდა მურად სულთანის ძე მაჰმადი. ამანაც ბევრჯველ ააოხრა საქართველო და ნამეტურ სამცხე-საათაბაგო. ამ ხონთქარმა მცირე ხანს იმეფა. ამის სიკვდილაის შემდეგ, გამეფდა ძე მისი ჰამადა.

1596 წ. ოსმალეთში დაიწყო დიდი არეულება. ამიტომ სულთანიც ხალხს თავის ბოროტებას არ აკლებდა. 1596 _ 1510 წლებში ამ სულთანმა საქართველოც ბევრჯველ აიკლო. იგი საქართველოს დევნას არ აკლებდა, ქართველებს ძრიელ იბრიყვებდნენ და სტანჯავდნენ. ამ დროს ოსმალნი ძლიერ გაძლიერდნენ სამცხე-საათაბაგოში და მათი წეს-წყობილებაც განმტკიცდა.

1619 წ. გამეფდა ძე ჰამადასი სულთანი მუსტაფა, ამანაც დიდათ შეაწუხა საქართველო და ნამეტურ სამცხე-საათაბაგო. ამის ბოროტება ისე გაზვიადდა, რომ ოსმალოებს ის უნდა მოეკლათ, ამიტომ მან ხელი აიღო ქართველების ტანჯვიდან. ამის შემდეგ თვით-

ვე გადადგა და გამეფდა მისი ძმა ოსმანი. ოსმანიც ბოროტი იყო ყველაზედ მეტათ ქართველებისთვის.

1624 წ. გამეფდა მუსტაფა სულთანის ძმა ოსმანი, რომელმაც ქართველების მტრობა და დევნა ხელობათ გაიხადა. ბოროტი წესებით დააკანონა ქართველებზე მტრობა. ამ კანონებით მან გარყვნა და გაათახსირა ქართველი ერი. ამიტომ იმ დღიდამ ქართველებშიც ჩამოვარდა ერთმანეთის მტრობა, ღალატი და სხვა ასეთები.

1525 წ. ამ დროს განაგებდა ათაბაგი მანუჩარი მესამე. ეს ბევრს სცდილობდა ოსმალთა წინაშე, რომელიც იმავე დროს მათი წინააღმოეგიც იყო; ის მტრობდა და სდევნიდა ყაჩაღ-ველურ ფაშებს, რომელთაც ის მათ ნებას არ აძლევდა ყაჩაღურ მოქმედებებისას. ბოლოს, მოახერხა ათაბაგმა და სტამბოლში წავიდა. იქ ნახა

დიდი ვეზირი, მის მერე სულთანი, მათ პირობა დაუდო, რომ ერთგული იქნებოდა. სულთანმა დაიჯერა ათაბაგის პირობა და ათაბაგი ქრისტაანის სჯულით დაამტკიცეს. ათაბაგის გამგეობა იქნებოდა თავისუფალი ოსმალთა მონობისაგან. კანონი მას ექნებოდა ქართული, ჯარიც ქართული ეყოლებოდა და სხვა. ასეთი პირობის დადების შემდეგ, ათაბაგი თავის თანამხლებლებით სახლში წამოვიდა. მოგზაურობის დროს, ზღვაში, ათაბაგმა ისურვა ხმელეთზე გადახტომა და ართვინთან სოფ. სვეტში, თავის ძმისწულ მექა ჯაყელთან დასვენება. იმ ღამეს ვახშამზედ ძმისწულმა მექა ათაბაგმა ბიძას საჭმელში სასიკვდილო წამალი შეაპარა. გათენებისას ათაბაგ მანუჩარი გარდაიცვალა. მეორე დღეს ათაბაგი სახლში წაასვენეს და ახალციხეში დაასაფლავეს.

1626 წ. მექა ჯაყელი წავიდა სტამბოლს. ნახა დიდი ვეზირი. მას მისცა ქრთამი და აუწყა ამბავი, რომ მანუჩარ ათაბაგი ჩემი ბიძა მიიცვალაო. მას მოწიფული შვილი არა ჰყავს და თუ სულთანი მე დამამტკიცებს ათაბაგათ, მაშინ მე ისლამსაც ვიწამებ და მთელს ჩემს სამთავროსაც ისლამს მივაღებინებ და, ამგვარათ, მე თქვენი სრული მორჩილი და ერთგული ვიქნებიო. დიდმა ვეზირმა სულთანს გააგებინა ბექას პირობა. სულთანი თანახმა გახდა შემდეგი პირობით: ათაბაგობა ქართული წესის წყობილება არის; შენ რაკი ისლამს იწამებ, მაშინ შენ მოგცემთ ახალციხის ვალი ფაშობას და დაგამტკიცებთ მთელი თქვენი სამფლობელოვ ვალი ფაშათ. ბექა თანახმა გახდა. ამის შემდეგ ბექა ჯაყელმა ისლამი იწამა. მას სახელათ საფარი უწოდეს. ამის შემდეგ ის დაამტკიცეს ახალციხის ვალი ფაშათ და აგრეთვე მთელ სამცხე-საათაბაგოსი.

-12-

1627 წ. საფარ ფაშამ თავის სამფლობელო საქართველოს ნაწილი სამცხე-საათაბაგოში დაამყარა ოსმალური წესები. მაშინ ასწერეს მთელი მისი სამფლობელო და იგი მერე დაყვეს სანჯაყებათ: ბათუმი იქმნა პირველი სანჯაყი და მისი მეთაური იქნა თავ. აბაშიძე. როცა აბაშიძეებმა მიიღეს ისლამი, მაშინ ისინი იქმნენ ბეგებათ წოდებული. საფარ ფაშამ თავის სამფლობელო სამცხე-საათაბაგო დაყო სულ 24 სანჯაყათ, ე. ი. მაზრათ. ამ მაზრებში მდებარე ქართული სოფლებიც კი აწერეს. მათი რიცხვი ორი ათას შვიდასი ყოფილა. იმ

დროს ლაზისტანი ყოფილა 1800 სოფელი. ორივე ერთათ კი, ლაზისტანი და სამცხე-საათაბაგო ორი ათას შვიდ ას სოფელ შეადგენდა. ამ სოფლებში ყველგან ქართველი ხალხი სცხოვრობდა, ქართულად მოლაპარაკენი.

1628 წ. საფარ ფაშამ ყველა ამ ქართველ ხალხის საცხოვრებელი ადგილები დაიყო ოსმალურის წესით, იგი ასწერეს და ანუსხეს ოსმალოს ქათიბებმა.

ბათუმის თემი იყო მეორე სანჯაყი.

ბათუმში დამყარდა აბაშიძეების გვარის ფლობა, სანჯაყ-ბეგების გაჩენა და მათი ისლამთან დაკავშირებაც ამ დროს და გარემოებას ეკუთვნის.

1629 წ. რაკი ქართველ მაჰმადიანთა რიცხვი გაიზარდა და თვალსაჩინო გახდა, მაშინ საფარ ფაშამ ეს ქართველთ ადგილები სულ, აღაწერინა ოსმალოს ქათიბებს და მცხოვრებთ დაადეს ოსმალების წესით გადასახადები, ე. ი. „ტახმირი“ _ მამულის გადასახადი. სოფლებში დანიშნეს ოსმალურათ „მუხთარი“, რომელიც განაგებდა სოფელს და ჰკრეფდა ხარჯს. მუხთარს დაუნიშნეს სოფლის „ქათიბი“, ე. ი. მწერალი.

აგრეთვე იყო მეორენაირი ხარჯი „სალანი“. ამ ხარჯის ფული მიდიოდა სახელმწიფოთ და სასოფლო მოხელეების ჯამაგირათ. მესამე გადასახადი იყო „რუსუმი“, ე. ი. სულადი საქონლის გადასახადი მეოთხე გადასახადი იყო სახელმწიფო გადასახადი, რომელიც კი ხაზინაში შედიოდა.

1630 წ. (ოზ. არქ.) საფარ ფაშამ ლაზისტანი მოაცილა თავის სამცხე-საათაბაგოს, მათ დაენიშნათ ოსმალოს მთავრობისგან ტრაპიზონში ვალი-ფაშა და ასევე სხვა ქალაქებშიაც გამგენი, როგორც ხმელეთის ადგილების, ისევე ზღვის პირად მდებარე ქალაქების დი სოფლების.

1632 წ. (ტ. მის. დღიური) ლაზები აუჯანყდნენ ტრაპიზონის ვალი ფაშას და ასევე სხვა და სხვა ქალაქებშიც. ამის მიზეზი ხარჯის გადახდის მიცემა იყო.

1633 წ. (ვახ ისტ.) გამეფდა უსუფ ჯაყელი, ძე საფარ ფაშისა, ამ ფაშამაც იწყო მოქმედება თავის მამის საფარ ფაშის წესებით.

1636 წ. ლაზისტანი ხელმეორეთ აჯანყდა. ამის მიზეზი იყო ის, რომ ოსმალოს ფაშები ძრიელ ბოროტად ექცეოდა მცხოვრებთ და სტანჯავდნენ ხარჯების გამო.

1640 წ. (იხ. ივ. ნათ. არქ.) ამ წელს ოსმალოს მთავრობამ ლაზების აჯანყების მეთაური ოსმალეთში გადაასახლეს და დაჰფანტეს. ამათში ქართველებიც ერივნენ მრავლად. 1640 _ 1660 წლებში სხვა და სხვა დროს ოსმალეთში გადაუსახლებიათ და დაუფანტიათ 400 ათასზე მეტი სული, მაგ., ლიგანის ხეველნი, ჩაქველნი, ქობულეთელნი, და სხვანი.

1648 წ. გაფაშდა უსუფ ფაშის ძე როსტომი ანუ როსტომ ფაშა. როსტომ ფაშის მეუღლე იყო ქრისტიანი, _ სახელათ მარიამი. ამ ქალის ცხოვრების ცნობები სამცხე-საათაბაგოს ისტორიაში მოიპოვება, ხოლო ბევრი რამ კი მისი ცხოვრების დაკარგულია. ამ ქალის ცხოვრების შესახებ დპ მისი სურათიც მე დავბეჭდე 1911 წ. ცალკე წიგნაკათ.

1650 წ. როსტომ ფაშას ბრძანება მოუვიდა ოსმალოს მთავრობიდან, რომ შენს საბრძანებელში ქართველები სულ გაათათრეო. ვინც უარს იტყვის მის მიღებაზედ ისინი მოჰკრიბე და სულ აქეთ გადმოასახლეო. ეს ქალი ისლამის მიღებაზედ სასტიკი წინააღმდეგი იყო. ამიტომ მას ქმარმა თავი დაანება, რადგანაც იგი ვერ გატეხეს. მაგალითად, ქმარმა დაატყვია ის; დიდ ხანს იჯდა ის ციხეში, მაგრამ მაინც უარზე იდგა. სიკვდილის განზრახვით ციხეში თავი მოიმშია, მაგრამ ძალით აჭამეს პური. ბოლოს ციხიდან გაანთავისუფლეს. შემდეგ კლდიდან გადავარდნაც სცადა, მაგრამ დაიჭირეს. როსტომ ფაშა გარდაიცვალა 1669 წ.

1660 წ. გაფაშდა როსტომ ფაშის ძე სალიმი. სალიმიც მამის მსგავსი კაცი იყო. ეს ფაშა ძრიელ ოსტატურათ მოქმედობდა და იყო წმინდა წყლის მუსლიმანიც, მხლოდ იგი სრული წინააღმდეგი იყო ოსმალოს ყაჩაღ კაცების და ნამეტურ სხვა და სხვა მძარცვავ ფაშების. ამიტომ ეს ველური ფაშებიც ძრიელ ხშირათ აბეზღებდენ სალიმ ფაშას ოსმალოს მთავრობის წინაშე.

1663 წ. სალამ ფაშას, ოსმალეთის მთავრობისგან მოუვიდა სასტიკი ბრძანება. რომ შენს საბრძანებელში ქართველები თავიან-

თი სჯულით არ დასტოვო, ყველამ ისლამი იწამოსო. ვინც უარს იტყვის ისინი მოკრიბე და ოსმალეთში გადმოასახლეო. სალიმ ფაშა ძრიელ შეწუხდა. ის ამბობდა, რა ვქნა, ხალხი არ შვრება ამას და ამიტომ მათი გადასახლება მთლათ, ჩვენი ქვეყნისთვის დიდი უბედურება იქნებაო.

166? წ. სალიმ ფაშის დედამ თავს იდვა ქართველების დამშვიდება, ჯერეთ თითონ მიიღო ისლამი, მერე მის შემდეგ წარსდგა იმ ქართველების წინაშე რომელნიც ისლამის მიღების წინააღმდეგნი იყვნენ და ასეთს სიტყვებს ეუბნებოდა მათ და მით აწუხებდა მათ და ამზადებდა ისლამის მიღებაზედ, რომ მათი გადასახლება თავიდან ასცდენოდათ.

ეს ცნობა მე გადმომცა გულუა კაიკაციშვილმა ქობულეთში 1890 წელში. ამ პირს ეს მასალები 1860 წლებში ეშოვნა.

ამ წელს ახალციხეში მოხდა ქართველების ყრილობა. ამ ყრილობაზედ წარსდგა მარიამ ხანუმი და ყრილობას უთხრა შემდეგი: „ჩემო მეზობლებო, ძია კაცებო, ნათესავებო, შვილებო და ძმებო! ჩემ შვილს, მუსალიმს, უმაღლესის ოსმალოს მთავრობიდან ბრძანება მოუვიდა, რომ შენს საბრძანებელში ყველა მცხოვრები მუსულმანი სჯულის უნდა იყოსო. ვინც ამას არ იწამებს, ისინი დაკრიფე და აქეთ გამოგზავნეო“, ამიტომ მოგმართავთ ჩემო შვილებო და ნათესავებო, რომ ისლამზედ უარს ნუ იტყვით. ეხლა მეც ვიწამე ისლამი, ვინც კარგი კაცია, ის ისლამშიც კარგი კაცი იქნება და ვინც არ არის კარგი, ის ქრისტიანიც ავი იქნება. ისლამი კაი კაცებს არას წაუხდენს, არასფერს დააკლებს, უამისოთ კი ჩვენთვის მძიმე იქნება, რომ ჩვენ ჩვენი ქვეყანაც დავკარგოთ და შორს, სადღაც ჯანდაბას გადავსახლდეთ, ოსმალეთში! არა შვილებო, ამას ნუ ვიზამთ“.

_ ასეთი შინაარსის სიტყვები მარიამ ხანუმისა ბევრი ყოფილა ძველათ ქართველ მაჰმადიანებში დარჩენილი, _ გადმომცა გულო კაიკაციშვილმა. ამიტომაც მოხდა თურმე, რომ ქართველებმა საერთოთ იწამეს ისლამი, რომლის წყალობით მათ თავიანთი ქვეყანა შეინარჩუნეს და არ დაკარგეს. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ ჩვენ უსათუოდ დავკარგავდით ჩვენს ქვეყანას. ისინი ჩვენ დაგვანიავებღნენ და გადაგვყრიდნენ ოსმალოს შორს ქვეყნებში, ჩვენს მამულში და მიწა-წყალზე კი თურქებს, ქურთებს, სომხებს და მრავალ სხვას დაასახლებდნენ, მაგრამ მადლობა ღმერთს, ეს არ მოხდა ამ მარიამ ხა-

ნუმის მოწყალებით და ღმერთმა აცხონოს ის, რომ ჩვენ გონს მოვე-
დით, ისლამი ვიწამეთ და ჩვენი ქვეყანაც არ დავკარგეთ, _ ამით დაა-
ბოლოვა სიტყვა გულუა კაიკაციშვილმა 1890 წ.

1668 წ. ოსმალეთის მთავრობამ სამცხე-საათაბაგოში იწყო ოს-
მალეთიდამ სხვა და სხვა დამნაშავეების გამოგზავნა დასძსჯელათ და
სასჯელის მოსახდელათ. ოსმალეთის ასეთ ავაზაკ-დამნაშავეებით გა-
ივსო მთელი სამცხე. ასეთი კაცებიხშირათ ავაზაკობასაც სჩადიოდენ
და სძარცვავდენ ქართველებს, ნამეტურ იქით, სადაც უფრო ტყია-
ნი ადგილები იყო, როგორც მაგალითად აჭარა და მაჭახელი. ამი-
ტომ ამ წელწადს შეითქვნენ აჭარლები, მაჭახელები და სხვები ამათ
კაცები გაგზავნეს და ოსმალოს მთავრობას სთხოვეს, რომ ჩვენ ქვე-
ყანაში ეგები მცირე დამნაშავეები გამოგზავნოთო. მთავრობამ პი-
რობა მისცა, მაგრამ არ შეასრთლა.

1675 წ. (ოზ. მაზ.) ქვედა აჭარაში მოვიდა ერთი ცუდი ფაშა
რომელმაც ქვედა აჭარლებს დევნა დაუწყო, იგი ხალხს ტყავს ამ-
რობდა. ეს ბოროტება აჭარლებმა ვერ დასძლიეს ფაშა მოკლეს და
მასთან მოყოლილი ყაჩაღებიც სულ დახოცეს. ამისთვის აჭარლები
აჯანყდნენ, ოსმალოს კაცები გაუგზავნეს შემდეგის დავალებით: ჩვე-
ნი ქვეყანა თქვენმა ფაშებმა ყაჩაღების ბუნაგათ გახადეს, მათგან
მოყვანილი ყაჩაღები ჩვენს ოჯახებს იკლებენ, ჩვენ ამის წინააღმდე-
გნი ვართ, გთხოვთ ეს საქმე გამოიძიოთ და იქ ისეთი ფაშები გა-
მოგზავნეთ, რომ მათ თან ყაჩაღები არ მოჰყვანდეთ.

1680 წ. ზედა აჭარა აჯანყდა. იგინიც მიხვდნენ ოსმალოს მთა-
ვრობის ბოროტ საქციელს, რადგანაც მთელი ზედა აჭარა ოსმალო-
დან მოსული ყაჩაღებით გაივსო. კაცები გაგზავნეს სტამბოლს და
დიდ ვეზირს აუწყეს თავიანთი საჩივარი. ამათი საჩივარი დარჩა
უყურადღებოთ. ამაზედ ზეგელნი გაბრაზდნენ და აჯანყდნენ. მალე
ოსმალთა დიდძალი ჯარი შემოვიდა და ზეგელნი დაამშვიდეს;

1685 წ. აჯანყდა ლოგნის ხევი. ამ აჯანყების მეთაურნი იყვნენ
მარადიდელნი. აჯანყების მიზეზი იყო ის, რომ ოსმალო დაიდ ხარჯს 4-
თხოულობდა და ამ ხარჯს მათი ყაჩაღი მოსამართლენი უფრო ადი-
დებდნენ და ხალხს ტყავს აძრობდნენ. მერე ოსმალოს თავი ფაშები
მოვიდნენ უსამართლო ზომები შემოიღეს და მით დაამშვიდეს აჯან- -
ყებული ხეველნი.

1690 წ. (ოზ. მაზ.) შავშელნი აჯანყდნენ. მათ ვერ მოითმინეს ოსმალთა ცარცვა-გლეჯა და უსამართლო სამართალი. შავშელნი ოსმალებმა მალე დააწყნარეს.

-16-

1697 წ. მთელი სამუსულმანო საქართველო აჯანყდა ოსმალოს ბოროტების წინააღმდეგ. ოსმალთა ფაშები ბევრს ეცადნენ და ვერ დააწყნარეს ხალხი. ხალხმა თხოვნა დაიწყო, რომ ჩვენს ქვეყანაში ჩვენი მხრის კაცები დანიშნეთო ფაშებათაო. ამის თანხმობა მისცა მთავრობამ.

1698 წ. ოსმალოს მთავრობამ ქართველი მაჰმადიანი აჰყარა ლიზინის ხეველნი, მაჭახლიდან და ჩაქვიდან. მათი გადასახლების მიზეზი გამოურკვეველია.

1699 წ. (ოზ. მაზ.) აჭარიდან გადასახლებრლ იქმნენ ძალით ოცი ათასი სული. ამათ შარი მოუდეს, რომ ვითომ აჭარლები აჯანყდნენ ოსმალოს მთავრობის წინააღმდეგ.

1700 წ. (ოზ. მაზ.) ოსმალოს მთავრობამ ქართველების გადასახლება ოსმალეთში დაიწყო 1660 წ. და გაგრძელთა 1740 წლამდის. ამ ხნის განმავლობაში ოსმალოს მთავრობას ქართველების გადუსახლებია ოსმალეთის უშორეს ადგილებში და დაუსახლებია 1300 სოფლის ქართველები.

1708 წ. ყველაზედ მრავლად ოსმალებს ქართველები გადუსახლებიათ. გადასახლებულთა რიცხვი არ სჩანს, სოფლები კი 2700 ყოფილა ოსმალეთის საქართველო სულ ყოფილა 2700 სოფელი. აქედამ 1300 სოფელი გადუსახლებიათ. მაშასადამე საქართველოში დარჩენილა მხოლოდ ათას ოთხასი სოფელი.

1710 წ. ოსმალნი ფოთში შევიდნენ და დაიჭირეს, მაგრამ იქ ესენი დადხანს ვერ დარჩნენ, მეგრელებმა გარეკეს ისინი დიდის ზარალით.

1714 წ. ოსმალნი მეორეთ დაეცნენ ფოთს, მაგრამ მეგრელებმა სასტიკათ დაამარცხეს და გააძიეს პირობა მისცეს დადიანს, რომ ჩვენ აქ აღარ შემოვალთო.

1715 წ. ლაზისტანში იყო ლაზების 1800 სოფელი (ტ. მ. არქ.)

1721 წ. ოსმალნი ფოთში შეიპარნენ ჩუმათ და თან დიდძალი იარაღი შეიტანეს. მეგრელებმა ვეღარ სძლიეს; ოსმალებმა ფოთი

აიღეს, აქ ოსმალთა ფაშა დასვეს, ჯარი დასტოვეს და ოსმალური წესები დაამყარეს.

1726 წ. ოსმალნი აფხაზეთში შეიპარნენ, ესენი დაიმორჩილეს და მერე დაიმონეს ისინი. აფხაზებმა დიდი ბრძოლა გამოიარეს ოსმალებთან, მაგრამ ვერაფერი გააწყეს, ოსმალებმა დასძლიეს აფხაზები; ოსმალებმა ისიც კი მოახერხეს, რომ აფხაზები ისლამს დაუკავშირეს და ზოგნიც გაამუსულმანეს.

1728 წ. ოსმალნი აფხაზეთიდან შეიპარნენ სამეგრელოში. ოსმალოს და მეგრელებს შორის მოხდა დიდი ბრძოლა. ამ ომში ოსმალებმა მოკლეს ბეჟან დადიანი. მისი ძე ოტია გადადიანდა.

1729 წ. მამად ყული ხანი ოსმალზედ გამძლავრდა და ეს გადავიდა სამცხე-საათაბაგოში. იქ მამად ყული ხან დამარცხდა და ოსმალებმა მოკლეს.

1730 იმერეთ მეფე მოადგა შორაპანს, რის გამო ზურაბ აბაშიძემ მოიყვანა ოსმალნი და მათ მისცა იმერეთის ზოგი ადგილები, იმერთა ლევან მეფის შურით. ასე და ამ გვარათ ისინი შურით მტრობდნენ ერთმანერთს.

1733 წ. აფხაზეთს ოსმალნი შეესივნენ. ოსმალებს თან ახლდათ იმერეთის ჯარიც. ალექსანდრე მეფე თავის ჯარით აფხაზეთიდან ოსმალოებს გაეპარა და აფხაზებს აცნობა, რომ მე თქვენთან ომი არ მინდა და თქვენც ოსმალებს ნუ დაემორჩილებითო.

1734 წ. ოსმალებმა ტფილისი აიღეს. სპარსნი მოვიდნენ, ქართველთ შეუერთდნენ და ტფილისიდამ ფაშა გააძივეს.

1735 წ. სპარსელებმა ქართველებთან ერთად აიღეს ტფილისი და სხვა ადგილებიც. ოსმალონი გააძიეს.

1737 წ. ისაყ ფაშა გადადგა თავის ფაშობიდგან და დაადგინა თავის ძე უსუფ ფაშა ათაბაგათ.

1741 წ. ქართველნი და იმერელნი ყოველთვის შურით იყვნენ ერთმანეთზედ აღვსილნი. მიტომაც იყო, რომ იმერთ ოსმალნი ჩაიყვანეს იმერეთში. მერე ოსმალთ დაიჭირეს შანშე და წარგზავნეს ხოროსანს. შაჰ ნადირის ბრძანებით, ფაშამ კვალად ალექსანდრე დასვა მეფეთ.

1744 წ. ქართლში შემოვიდნენ ოსმალნი, ყიზილბაშნი და ქარ-

თველნი ერეკლე მეფის მხნეობით შეესივნენ ოსმალთ და ოსმალნი დაამარცხეს. ოსმალთა საგანძური აიღეს ქართველებმა. ტფილისიდან გაქცეული უსუფ ფაშა მოვიდა და კვალად მიიღო ათაბაგობა.

1749 წ. იმერეთის მეფე ალექსანდრე ოსმალებს მოუძღვა წინ და იმერეთში გააბატონა ფაშა.

1753 წ. იმერლებმა, ერთმანეთს შურით, სოლომონ მეფე გაა-ძევეს და მათ ჩამოაყვანინეს ფაშა და მისცეს მას ყოველივე.

1758 წ. ოსმალეთის მთავრობამ ქართველ მაჰმადიანებს აუკრ-ძალა თავიანთ წოდნების ტარება. მოსპო თავადობა და მის მაგიერ მათ მიანიჭეს ბეგობა, მოისპო აგრეთვე აზნაურობა და მის მაგიერ ეწოდა აღები. ამათ მაგიერ განწესდა სანჯაყ ბაშობა ალია ბაშო-ბაც და სხვა ასეთები.

1760 წ. ოსმალეთის მთავრობამ ქართველ ბეგებს და სხვებს ჩამოართვა რაც რომ მათ ცხოვრება ჰქონდათ, როგორც მაგალითად ადგილ-მამულები გვარეულობის საბუთები, ქართველ მემკვიდრეთა-გან მიცემული საბუთები. ყველა ეს ჩამორთმეული საბუთები სტამ-ბოლში წაიღეს და მათ დაჰპირდნენ, რომ ამ ქართული საბუთების მაგიერ ჩვენ სამაგიეროს ოსლამურს ენაზედ დაწერილს მოგცემთო, მაგრამ ოსმალოებმა მოატყუეს და მათ არაფერი არ მისცეს. ასე და ამგვარათ, ქართველებმა ბევრი ძვირფასი მასალები დაკარგეს, ქარ-თულის ისტორიისთვის.

1762 წ. ბათუმში აშენდა დიდი ჯამე. ამ ჯამეს გასაკეთებელი ფული მისცა სულთანის ცოლმა, რომელიც ჩამომავლობით ქართვე-ლი იყო, _ სამტრედიელი, ქუთათელაძეს ქალი.

1790 წ. აჭარაში სრულიად მოისპო ქრისტიანობა. მის მაგიერ ისლამი გავრცელდა.

1775 წ.(ოზ. მაზ). ქობულეთში გავრცელდა ისლამი. პირვე-ლათ იქ აღშენდა ჯამე. ერთი ჯამეც ძველ ქობულეთში.

1780 წ. ახალციხე იქმნა გაუქმებული და მის მაგიერ ბათუმი იქნა დანიშნული მთავარ ქალაქად. ბათუმის გამგეთ დანიშნეს სან-ჯაყ ბეგ აბაშიძეები. მაშინ ხიმშიაშვილებიც სცხოვრობდნენ ბათუმ-ში და სხვაგანაც.

1782 წ. მოხდა ქართველ მაჰმადიანთა და გურულების ბრძო-

ლა. გურიაში, სოფ. აკეთში, გურულებმა მოკლეს აბდულ ბეგ ხიმ-
შიაშვილი. ოსმალოს ჯარი გურულებმა დაამარცხეს და გააძევეს ბა-
თუმამდის. ოსმალნი ბათუმში გამაგრდნენ.

1785 წ. ავარიის ომარ ხანი ოსმალებს შეეკრა პირობით. ეს
თავის ჯარით ჩავიდა ახალციხეში! მთელი ზამთარი იქ გაატარა, გა-
ზაფხულზედ ოსმალოს ჯარი იმერერს დაეცა, მაგრამ დამარცხდნენ.
იმერლებმა უკუ აქციეს და გააძევეს. ომარ ხანი გაიპარა და ოსმალ-
ნიც მოტყუებულნი დარჩნენ.

1776 წ.(ოზ. მაზ.) ოსმალებმა იმერეთის მეფეს მეგობრობა
დაუწყეს, მერე მას მისცეს 200 ოქრო და 6000 ჯარის კაცი, მეფე
ერეკლეს წინააღმდეგ საბრძოლველათ და დასამხობათ. იმერეთის მე-
ფემ ის მოატყუა და მეფე ერეკლეს კი არ აუტეხეს ბრძოლა, თვით
ოსმალოებს შეებრძოლა იმერეთის ჯარით.

1777 წ. (ოზ. მაზ.) ოსმალოს მთავრობამ იმერეთის მეფის ზო-
გი თავადიშვილები შეისყიდა. ქაიხოსრო აბაშიძეს მისცეს 60 ოქრო
ქისა და თორმეტი ათასი ჯარის კაცი და ამითი სთხოვდნენ ღა-

ლატს, მაგრამ აბაშიძემ ვერაფერი გააწყო, თვით დამარცხდა ოსმა-
ლეთის ჯარით და გაიპარა ძლეული ბათუმში.

1778 წ. სულთან სელიმი მესამე საიდუმლოთ აფრთხილებდა
საქართველოს მოსაზღვრე ოსმალთა ადგილების საზღვარს, ბატალი
ფაშას და კუსი ფაშას, რომ თქვენ ფხიზლათ იყავითო. ამის საბუ-
თათ ესენი იმას სთვლიდნენ, რომ ერეკლე მეფე რუსებს დაუახლოვ-
და. ამ დაახლოვების ცნობა უნდა იყოს აშენებული იმაზედ, რომ
1783 წ. მეფე ერეკლეს და რუსეთის ეკატერინეს შუა ტრაქ-
ტატი დაიდო. ამის გარდა იმავე დროს უნდა მომხდარიყოს საქარ-
თველოს გაერთიანება, რომელიც ერეკლე მეფის უთაურობით ვერ
მოხერხდა.

1791 წ. ოსმალნი კვლავ დაუმეგობრდნენ ავარიიას ომარ ხანს
და ერთათ მოისრრვეს ტფილისზედ დაცემა და აკლება, რადგანაც
მათ შეიტყეს, რომ იმ დროს ტფილისში ას სამოცდა ათი ათასი
შეიარეღებული მცხოვრები იყო. იარაღს რუსეთი უგზავნისო. მართ-
ლაც ესენი დაეცნენ ქართლს და სოფლებს ქურდულათ სცარცვავ-
დნენ და აოხრებდნენ. ამათ მაგივრათ სამეგრელოს დაეცა ანაპის

ფაშა და ესეც სამეგრელოს სოფლებს აოხრებდა. ამათ ჯიბრზე და-
დიანმა რუსებს მიმართა და თავის ერთგულება აუწყა. ამ ქურდული
თავდაცემის და სოფლის აოხრება-ცარცვა-გლეჯაზედ სტამბოლში
იჩივლა. ასევე იჩივლა მეფემ ახალციხის ფაშაზედაც. ოსმალოს მთა
ვრობამ პირობა მისცა, რომ ეს აღარ მოხდებაო.

1792 წ. მეფე ერეკლემ ახალციხის ფაშამ იოსებ ბარათაშვილი
მიშკარ ბაში (ადიუტანტი) გაუგზავნა და აუწყა, რომ მე რუსებთან
დავშლი კავშირს თუ თქვენც ჩვენ ქვეყნის ცარცვას თავს დაანე-
ბებთ და ყაჩაღურ დაცემას მოსპობთო.

1797 წ. აგვისტოს ოლთისის ფაშამ დაამარცხა ახალციხის
ფაშა და მისი ყაჩაღების ბრბოც, მის შემდეგ, ახალციხეში შევიდა
შერიფ ფაშა ჯაყელი და გაფაშდა. შერიფ ფაშამ ცოტა ხანს იფა-
შა. მის მაგიერ ოსმალებმა ახალციხის ვალი ფაშათ დანიშნეს უსუფ
ფაშა, რომელიც მალე მოკვდა და საბით ფაშა ჯაყელი ახალციხეში
გაფაშდა.

1798 წ. მეფე ერეკლეს სიკვდილის შემდეგ, ერთი ვიღაც გუ-
რული საგვარეულოს ძლიერი კაცი, სახელათ გიორგი, სტამბოლში
წავიდა. იქ დიდ ვეზირს მოელაპარაკა, სთხოვა გურიაში გურულობას
თუ მე მომცემთ, მაშინ მე ისლამს მივიღებ, გურიაში გადავსახლდე-
ბი და მთელ გურულებსაც ისლამს მივაღებინებო. ეს ამბავი გურუ-

ლებმა მალე შეიტყეს. ამ გურულმა კაცმა სტამბოლში ისლამი მიი-
ღო, სახელად ალი უწოდეს. ამის შემდეგ მას დიდძალი ჯარი მის-
ცეს და 1799 წ. გურიაში შემოვიდა, ჯარი კი მან ქობულეთში და-
სტოვა. გურიაში შემოსული ეს ალი გურული დაიჭირეს გურულებმა,
ხეზედ მიაკრეს და დახვრიტეს. მისი ჯარიც ქობულეთიდან უკან გა-
ბრუნდნენ. ასე და ამ გვარათ, 1799 წ. გურია გადარჩა ომს და ჟლე-
ტა-წყვეტას.

1800 წ. ამ დროს გაიმართა დიდი ბრძოლა შერიფ ფაშისა და
საბით ფაშის შუა. ორივე ჯაყელები იყვნენ და სახლი კაცები. შე-
რიფ ფაშა არტაანში შეკრიბა 17000 ჯარის კაცი, ქართველი მაჰმა-
დიანები. ამ ჯარით დაეცა საბით ფაშას და დაამხო იგი ახალციხე-
ში და თვით გაფაშდა. საბათ ფაშას მან ღალატი დასწამა. მაგრამ
ამით მან ვერა ქნა-რა. არც საბით ფაშას ეძინა. ამასაც დიდძალი

მომხრეები ჰყვანდა და ესეც მიეცა ბრძოლის სამზადისს.

1801 წ. საბით ფაშა თფილისში შემოსვლით რუსებს დაუახლოვდა და მათის დახმარებით ფიქრობდა ახალციხეში გაფაშებას. ეს აუწყეს რუსეთის მთავარსარდალს, რომ საქართველოს ერთგულებაზედ მე მეფე ერეკლესთან ლაპარაკი მქონდაო, 1795 წ. მიწერ-მოწერაც. მის შემდეგ მის შვილს გიორგისთან და გიორგის შვილი დავითთანაცო. მაგრამ ვერას გახდა ამით იგი. იმავე დროს ეს ებრძოდა იმერეთის მეფე სოლომონასც და მასაც პირდებოდა ერთგულებას და რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყეს.

1807 წ. საბით ფაშა იმერეთში ჩავიდა, იქ შეაფარა თავი, მაგრამ იქიდამ მას ბრძოლა ვეღარ მოუხდა, რადგანაც იგი თავისი ექვსი მომხრე კაცებით, ჩუმათ იქმნენ დახოცილები.

1807 წ. ახალციხის ფაშამ თავი მოჰკვეთა მღვდელს ვასო ორბელიანს, დიომიდე ეპისკოპოსს და გრიგოლ მღვდელს, რომელთაც თავის მოჭრამდის გული წაუვიდა და ფაშამ მის გამო ამათ ამხანაგს სტეფანე ლორტყიფანიძეს, დიაკონს, თავის მოჭრა აპატია. ამის მიზეზი ის იყო თურმე, რომ ეს პირები ახალციხეში ქართველებს ამხნევებდნენ.

1802 წ. შერიფ ფაშა თფილისში მყოფ რუსის გენერალ ლაზარევს დიდის სიყვარულის წერილი მოსწერა. ამასთან მანვე გამოუგზავნა კარგი მერანი ფეშქაშათ და 20 გირვანქა კარგი ყავა. თან უთვლიდა, რომ მე რუსების ერთგული ვარო და ვეცდები რომ ყოველი უქვენი დავალება შევასრულოვო. ამბობენ, რომ ვითომ შერიფ ფაშის წადილი იყო, რომ რუსების დახმარებით სამცხე-საათაბაგო

ოსმალეთისთვის ჩამოეცალა და თვითონ იქ გამაგრებულიყო ათაბაგათ, როგორც ჯაყელების გვარის წევრი და ათაბაგების მემკვიდრე.

1804 წ. საბით ფაშა შერიფ ფაშამ დაამარცხა და იგი გაფაშდა. ხიმშიაშვილებს ეს არ ეგონათ. ესენიც თვალყურს ადევნებდნენ საბად ფაშის და შერიფ ფაშის მოქმედებას და ხალხის ხოცვას და ჟლეტა-წყვეტას. ამათ წინააღმდეგ დაიწყო მოქმედობა სელიმ ფაშა ხიმშიაშვილმა.

1808 წ. სელიმ ფაშა ოსმალოს მთავრობას გადაეკიდა, რადგანაც მან შეიტყო კარგათ, რომ საქართველოში ფაშებს და ნამე-

ტურ საბით ფაშას და შერიფ ფაშას და სხვებსაც სულ მთავრობა აჩხუბებდა და მათ ხალხსაც ახოცინებდა. ამიტომ შერიფ ფაშამ თავის მოქმედების გეგმა შესცვალა; ის რუსეთის მთავრობას დაუახლოვდა, თბილისში მოციქული გამოგზავნა და შეატყობინა თავისი ერთგულება

1810 წ. სელიმ ფაშა ოსმალოს მთავრობას ცხადათ დაუწყო მტრობა და დავა მასზედ, რომ ახალციხეში ვალი ფაშა მე უნდა ვიქნეო, რომ ჩვენმა ქვეყანამ მოისვენოს ამდენ ომების და წვალებისაბანაო ოსმალოს მთავრობამ სელიმ ფაშა ხიმშიაშვილის წადილს ეჭვის თვალით შეხედა. მთავრობასა და ხიმშიაშვილის შორის ჩამოვარდა შური-მტრობა. ხიმშიაშვილი ხალხს ასე არიგებდა: „ჩვენ ქვეყანას, სულ ოსმალოღან მოსული ფაშები ჰფლობენ და დღე და ღამ სისხლი იღვრება. ჩვენ ამათგან თავი უნდა ვიხსნათ და ჩვენი ქვეყნებში ვალი ფაშათ ჩვენი კაცები უნდა იყვნენ“.

ასედი დარიგებით მან ბევრი მომხრეები გაიჩინა. ეს გარემოება შერიფ ფაშამ არ დასთმო და ის სელიმ ფაშას გადაეკიდა და ოსმალოს მთავრობასთან დაუწყო დასმენა და დაბეზღება.

1811 წ. ვალი ფაშამ დიდი ძალა მოიკრიფა შერიფ ფაშის წინააღმდეგ. ამის გარდა მან ხირხატის ციხე გაამაგრა და ისე შეაკეთა, რომ იქ მტერი ადვილათ ვერ შევიდოდა. ამ ციხეში დასტევდა ათი ათას კაცს მთელი წლის სურსათ-სანოვაგით. ერთი სიტყვით ამ ხირხატის ციხიდამ ის დიდ გამარჯვებას ფიქრობდა და ამიტომ ოსმალოს მთავრობის ბრძანებებს ის აღაარ ეპუებოდა და ასრულებდა.

1812 წ. ოსმალოს მთავრობამ სელიმ ფაშას ბრძოლა დაუწყო. ამ ბრძოლაში ოსმალოს ჯარი დაამარცხა სელიმ ფაშამ და ისინი დიდის ზარალით გააძევა. ამ დროს მას შვიდი ათასი ჯარის კაცი ჰყავდა შეყვანილი ხარხატის ციხეში. ამის შემდეგ ოსმალოს ჯარი და მთავრობა ბევრჯველ შეებრძოლეს სელიმ ფაშას, მაგრამ მათ ვე-

რაფერი ვერ გააწყეს, ექვსჯერ შეებრძოლა ოსმალოს ჯარი და ექვსჯერვე დამარცხებულ იქმნენ ისინი.

1813 წ. ოსმალოებმა ომის გეგმა შესცვალეს, თორემ მათი ჯარი ომში მრავლათ წყდებოდა. მათ გზავალი არ იცოდნენ და სელიმ ფაშას ჯარი მათ გზებში უხვდებოდნენ. ამიტომ ოსმალოებმა

აჭარაში იშოვეს გამყიდველნი. ამის შემდეგ მათ სელიმ ფაშის ხელ-
ში ჩაგდება მოინდომეს.

1814 წ. ოსმალოს მთავრობამ სელიმ ფაშას ომი აუტეხა. ოს-
მალოს მთავრობა დიდი ძალი ჯარი გამოგზავნა სელიმის დასამხო-
ბათ. ომის დაწყების დღესვე სელიმ ფაშას ცოტათ გაუჭირდა, მაგრამ
ის მაინც გულს არ იტეხდა, ჯარს ამხნევებდა. რამდენიმე დღის შემ-
დეგ, მოახერხეს და შინაურ კაცებით, აჭარლების დახმარებით, სე-
ლიმ ფაშასთან ლაპარაკი დაიწყეს შერიგებაზედ. ამისთვის მოლაპა-
რაკეებმა იხმარეს დიდი ხერხი და სელიმ ფაშა დაითანხმეს მორიგე-
ბაზედ. ერთ დღეს სელიმი.ხირხატის ციხიდამ გამოიტყუეს მორიგე-
ბის შესახებ მოსალაპარაკებლათ. სელიმი ციხიდამ გამოვიდა, ოსმა-
ლოს ფაშებთან მივიდა მოსალაპარაკებლათ, მაგრამ სელიმი დაი-
ჭირეს და აღარ გაუშვეს.

1814 წ. სულთანმა ფირმანი გამოსცა სელიმის დასაჭერათ. ამ
დროს სელიმ ხიმშიაშვილს ჰყვანდა 6000 კაცი მეომარი, ყველა ქარ-
თველები. ოსმალოს მოუკლეს ხუთასი კაცი, სელიმ ფაშას კი ათა-
სი კაცი.

1815 წ. მოტყუებით დაჭერილ სელიმ ფაშას თავი მოსჭრეს.

1816 წ. სამცხე-საათაბაგოს ფაშებმა ისე დააყენეს თავბანთი
საქმე რომ 1816 წ. დაიჭირეს ოსმალეთის შერიფ ფაშა და არზრუმ-
ში წაიყვანეს, სადაც მოსჭრეს თავი. ამავე წელს ოსმალეთის მთა-
ვრობამ პატივით ყურება დაუწყო ქართველ მაჰმადიანებს და მათ
ყველანაირ სიკეთეს უშვრებოდა, ნამეტურ ბეგებს, რომ რუსებს არ
მიემხრონო. ამასთანავე ოსმალეთშიც ანთავისუფლებდნენ ყველა და-
მნაშავეებს სასჯელიდან. ამავე დროს სტამბოლიდან დააბრუნეს ვა-
ლი ფაშის ძმები ახმედ ბეგი და ამის ძმაც. ამით დაუბრუნეს საგვა-
რეულო უფლებების სხალტის ხეობაზედ.

1818 წ. ახმედ ბეგის სახლკარს დაეცა ფეხლევან ფაშა, აიკლო
ყოველივე და ისე დასწო და დადაგა, რომ ახმედ ბეგს საცხოვრებე-
ლიც აღარა დარჩენია რა. ამის შემდ ახმედ ბეგს სტამბოლში წა-
ვიდა და იქ ის ისე დაწინაურდა, რომ ფაშობაც მიიღო, რის შემდეგ
დაბრუნდა საქართველოში. ამას აქ წარმატება ელოდდა, მაგრამ ომ-
მა შეუშალა ხელი.

1828 წ. დაიწყო რუსთა და ოსმალთა ომი. ამ დროს ოსმალოს მთავრობამ 5000 კაცი გადაასახლა ოსმალეთის შორი ადგილებში, რადგანაც ამათ რუსეთის მომხრეობას სწამებდნენ.

1829 წ. მიუხედავათ ბევრის მტრობისა და ვაების, ახმედ ფაშა მაინც თავის გზას დაადგა. იგი აწყობდა ისეთ სამზადისს, რომ მთელი სამუსულმანო საქართველო უნდა შემოერთობოდა საქრისტიანო საქართველოს. ამისთვის დიდი მოლაპარაკება იყო გამართული ახმედ ბეგთან. ეს საქმე ჩაშალა იმ დროს ომის მთავარსარდალ გენერალ ბებუთოვმა. თურმე საქმე გათავებული იყო და მთელი სამუსულმანო საქართველო უნდა შემოერთებული იყო საქრისტიანო საქართველოსთან, მაგრამ, როგორც ვთქვით, გენ. ბებუთოვის წყალობით ჩაიფუშა"

1830 წ. სამეგრელო-ჯავახეთიდამ აიყარნენ და ოსმალეთში გადასახლდნენ ოცდა ათი ათასი ქართველი მაჰმადიანები. ამ გადასახლებისთვის აქეზებდნენ სომხის პროპაგანდისტები. იმავე დროს ამათ მამულებზედ ჩამოიყვანეს და დაასახლეს ოცდა ათი ათასი სომეხი. ამათი ჩამოსახლების მეთაური იყო სომხეთის კათოლიკოსი ნერსეს დიდი, თფილისის იმ დროის სომეხთა ეპისკოპოსი კარაპეტი და რუ-/ სის გენერალ-მთავარსარდალი სომეხი ბებუთოვი.

1833 წ. ახმედ ფაშისაგან დაწერილი წერილი მეც მქონდა. გიორგი ყაზბეგი სწერს. (იხ. ლაზისტანის სანჯაყი, გ. ყაზბეგის 1871 წელი, ტფილისი): „ახმედ ფაშას დიდათ აწყენინა რუსის გენერალმა ბებუთოვმა და მიტომ ჩაიშალა ოსმალეთის საქართველოს უომრათ შემოერთების წადილიო“.

1840 წ. ოსმალეთის მთავრობამ ქართველ მაჰმადიანებს დიდათ დაუწყეს დევნა. ამიტომ სამუსულმანო საქართველოდან შეკრიბეს თითქმის ათას კაცზედ მეტი, რომელთაც ეჭვს სწამებდენ და ოსმალეთში გადაასახლეს.

1848 წ. ოსმალოს მთავრობამ ქართველი მაჰმადიანებს „ნიზამი“ მოსთხოვეს, მაგრამ ქართველი მაჰმადიანები ერთობ მაგრა და?-დგენ და არ მისცეს „ნიზამი“. მათ აუწყეს, რომ ჩვენ ოსმალოს ჯარში არ წამოვალთ და თუ გაჭირება გექმნებათ, მაშინ კი ომში გამოვალთ საბრძოლველათაო.

1851 წ. ოსმალოს მთავრობამ განუმეორა „ნიზამის“ გაყვანა, მაგრამ ქართველთ კიდევ უარი სტკიცეს. ამისთვის ჩვენ ვიტყვით კიდევ შეჭდეგ ისტორიულ ცნობებს, რომელიც ამვკრიფე ოზურგეთის არქივიდან: ოსმალოს მთავრობამ ქართველ მაჰმადიანებს „ნი-

ზამი“ მოსთხოვეს 1730 წ., მაგრამ ქართველ მაჰმადიანებმა კიდევ

უარი სტკიცეს და არ გავიდნენ. მეორეთ 1740 წელს მოსთხოვეს, მაგრამ არც მაშინ გავიდნენ, მესამეთ 1770 წ. მოსთხოვეს, არც ამ წელს გავიდნენ, მეოთხეთ 1781 წ., რომელზედაც კიდევ უარი შეუთვალეს. მეექვსეთ 1817 წ. მაგრამ უარი უთხრეს, მეშვიდეთ 1827 წ., არ მაშინ გავიდნენ და მეცხრეთ 1851 წელს. აქ კი მათ სასულიერო წოდება დაიხმარეს, ხოჯებმა და მოლებმა ქადაგება დაიწყეს: რომ ეს სჯულის ომიაო და სხვა. ქართველი მაჰმადიანები დასძლიეს და „ნიზამი“ მიაღებინეს. ამ დროს ქართველ მაჰმადიანთაგან ათი ათასს კაცში ათმა კაცმა არ იცოდა ოსმალური ენა.

1854 წლის ბოლოს, როგორც იყო ომი გათავდა, რუსებისა და ოსმალებ შუა საზღვრები უნდა დაენიშნათ. რუსეთის იმპერიას უნდა შემოერთებოდა ჭოროხის აქეთ მხრიდამ მთელი აჭარა, ლიგინის ხევი და ერთი სიტყვით მთელი ბათუმის თემი და ართვინის თემი. რუსებს ასო ჭ არა აქვთ და პირობის ტრაქტატში ჭოროხის მაგიერ ჩოლოქი დასწერეს და ამ სახით რუსები მოტყუებულნი დარჩნენ როცა საზღვარი დადეს, მიჯნა ჩოლოქთან მოხვდა და არა ჭოროხთან. ასე და ამ გვარათ, ოსმალეთის საქართველოს ადგილები დარჩა ისევ ოსმალოს ხელში.

1858 წ. ქართველ მაჰმადიანთაგან „ნიზამში“ გასული ჯარისკაცები შინ დაბრუნდნენ, სამხედრო სამსახური გაათავეს და მათ შემოიტანეს საქართველოში ოსმალური ენის ცოდნა და გავრცელება. ასე და ამ გვარათ აჭარაში ოსმალური ენა შემოვიდა 1860 წლიდამ.

1858 წელს დამტკიცდა, რომ ქართველი მაჰმადიანები იყვნენ ოსმალოს ერთგულები და არა მტრები, ამიტომ ოსმალებმა ქართველებზედ აზრი შეიცვალეს და მათ პატივით მოპყრობა დაუწყეს.

1859 წ. (მაპ. ნაამბობი) ოსმალოს სულთანმა ირადე გამოსცა და ასევე იმ დროს შეიხულ ისლამმა, რომლის ძალით მთელს სამუსულმანო საქართველოში დასწვეს და დახიეს სამი ათასი მეტი ქართული წიგნი ოსმალური ასოებით დაწერილი, ხოლო ქართული სიტყვებით. ეს წიგნი იყო „ყურანი“, ქართულათ ახსნილი. ამ წიგნების მოსპობა ისე მოხდა, რომ ერთი წიგნიც კი არ გადარჩენილა მთელ სამუსულმანო საქართველოში. ამ წიგნის ერთი ცალი, თურმე

ერთ ხოჯას ჰქონია, მაგრამ სჯულის შიშით ისარავის არ უჩვენებს.

1860 წ. ამ წლიდან ოსმალოს სულთანმა გამოსცა ირადე და ეს ირადე შეიხულ ისლამა გამოუცხადა ქართველ მაჰმადიანთ სასულიერო წოდებას. ამ დღიდამ სასულიერო წოდება ავედრებდა ხალხს ჯამეში ლოცვის დროს, რომ თქვენ თუ მუსულმანები ხართო და

სჯული გიყვართ, მაშინ ქართულ ენაზედ ლაპარაკს თავი დაანებეთ და თურქულით დაიწყეთ ლაპარაკიო. მაგრამ მათ ვერაფერი ვერ გააწყეს, ყველაზედ უფრო სასტიკათ მაჭახელში სდევნიდნენ ქართულს ენას, მაგრამ მოსპობის მაგიერ, ის უფრო განმტკიცდა.

1864 წ. აჭარაში პირველათ იმგზავრა ივანე კერესელიძემ, ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორმა, რომელსაც სამგზავრო ფული მთავრობამ მისცა 1000 მანეთი. ივანე კერესელიძე ზედა აჭარაში ავიდა, იყო სხალტის ხეობაშიც, ხიმშიაშვილებშიც, ვინც ახალციხელ ქართველებს დიდათ მეგობრობდნენ.

1872 წ. იმგზავრა კავკასიის გენერალურ შტაბის ინჟინერმა გიორგი ყაზიბეგმა და პირველათ მან აღწერა ოსმალეთის საქართველო და დაბეჭდა რუსულს ენაზედ, სახელწოდებით „სამი თვე ოსმალოს საქართველოში“. ეს წიგნი ამავე დროს პეტრე უმიკაშვილმა ქართულათ სთარგმნა და დაბეჭდა ჟურნალ „ივერიაში“. გ. ყაზიბეგმა დასწერა აგრეთვე რუსულ ენაზედ „ლაზისტნის სანჯაყი“, დიდი წიგნი, რომელიც გამოიცა ტფილისში 1873 წ.

1875 წ. ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძემ იმგზავრა აჭარაში, მაგრამ ბათუმის ფაშამ მას ნება არ მისცა მგზავრობისა, რომლისთვისაც 12 დღე დაჭერილი იყო ბათუმში, შემდეგ ზედა აჭარაში მგზავრობის ნება მისცეს.

1876 წ. ქართველ მაჰმადიანებში შეტანილ იქმნა ჩუმათ ქართული წიგნები, როგორც მაგ; არსენას ლექსი, ქალვაჟიანი და ქართული ანბანი, რომლებსაც ქართველი მაჰმადიანები ჩუმათ კითხულობდნენ, რადგანაც ხოჯები და მოლები უკრძალავდნენ და სჯულის წინააღმდეგ მიაჩნდათ ქართულ ლაპარაკსაც კი აზიზღებდნენ ისინი ხალხს.

1877 წ. ტფილისში რაკი გაზეთი „დროება“ დღიურ გაზეთად გადაკეთდა, მაშინ ეს ქართული გაზეთი ბათუმშიც შევიდა. 1873 წ.

ქართული გაზეთის მკითხველი გულო აღა კაიკაციშვილი იყო, მის მერე ვაჭარი ლუკა მჭედლიშვილი დი ამისი შვილი პავლე და ლევან მჭედლიშვილები იყვნენ.

1875 წ. გულო აღა კაიკაციშვილმა პირველათ დაიწყო წერა გაზეთ „დროებაში“; აჭარიდან _ აბდულ ეფენდი მიქელაძემ. ამავე წელში ფოთის სკოლაში პირველად ქართულ ენაზედ დაიწყო სწავლა გულო აღა კაიკაცის შვილმა ასლანმა და რეჯებ ნიჟარაძემ. ესენი არიან პიველი მოწაფენი ქართველ მაჰმადიანთაგან. ფოთში რომ სწავლა დაამთავრეს, მერე ტფილისის გიმნაზიაში განაგრძეს, რომლის შემდეგ ოდესის უნივერსიტეტში შევიდნენ.

-26-

1878 წ. დამდეგს რუსეთისა და ოსმალეთის ომი გათავდა შემდეგის პირობით: რუსებს არზრუმი უნდა დაებრუნებინათ ოსმალებისათვის, რომელიც მათ წინეთ აიღეს. ამის სანაცვლოთ ოსმალონი რუსებს უთმობდნენ ბათუმს, ქობულეთს, მთელს ბათუმის ოლქს, ართვინს, არტანის, ოლთისის და სხვა ადგილებიც. ოსმალოს საქართველო ამის წინააღმდეგი გახდნენ შეუთვალეს, რომ ჩვენ ნუ გვყილითო. დერვიშ ფაშა მოვიდა ბათუაში და ქართველ მაჰმადიანებს განუცხადა, რომ მე თქვენ გირჩევთ, რომ ჩამბარდეთ, თორემ ჯარით ამოვალ აჭარაში და ძალით ჩაგაბარებთო. ამის მერე ქართველ მაჰმადიანებმა ინგლისის დედოფალ ვიქტორიას კაცები გაუგზავნეს და დავა ასტეხეს. ამ დროს ალი ფაშამაც წამოყო თავი და მოქმედება დაიწყო.

1879 წ. დამდეგ ალი ფაშამ რუსის მთავარმართებელ მირსკის ქართულათ დაწერილი წერილი გაუგზავნა, რომელშიაც სწერდა, რომ მე თქვენ ასი ათასი მანათი დამპირდით და ის ფული თქვენგან იასე გურიელს მიუღია და ეს როგორ შეიძლებაო. ეს ამბავი რომ დარვიშ ფაშამ გაიგო, ალი ფაშა სტამბოლში იქმნა გაძევებული. გავარდა ალი ფაშას ღალატის ხმა, ლექსიც კი გამოუთქვეს ამაზედ, მაგრამ მისგან ღალატი ტყუილია. ეს ფაშა ხან აქეთ იყო ხან იქით. რაკი მას ღალატი დასწამეს და მის გამოძიებაში კი არ შევიდა დერიშ ფაშა, ამიტომ ალი ფაშამ შესძლო და დიდძალი ქართველი მაჰმადიანები გააბრიყვა მით, რომ ისინი იქიდან აჰყარა და ოსმალეთში თან წაიყვანა. ამით გაიმართლა მან თავი სულთანის წინაშე, რის

გამო ის უვნებლათ დასტოვეს.

1879 წ. დამდეგს ამ ომში დიდძალი კახელები დაიხოცნენ. ქართველ მაჰმადიანებს დერვიშ ფაშა ურჩევდა, რომ თქვენ ჩაბარდით რუსებს და შემდეგ ამისა გადმოსახლდით ოსმალეთშიო, ჩვენ იქ კაი ადგილებს მოქცემთო. დაიდო ხელშაკრულება რუსებსა და ოსმალოს შორის და გადასახლების ვადათ დანიშნეს ერთი წელწადი. მართლაც, ქართველ მაჰმადიანებმა იწყეს გადასახლება და სამი წლის განმავლობაში რამდენიმე ასი ათასი კომლი გადასახლდა ოსმალეთში. ამავე დროს გრიგოლ გურიელმა ათი ათასი მანეთი დაურიგა ქართველ მაჰმადიანებს.

1880 წ. მრავალნი ურჩევდნენ ქართველ მაჰმადიანებს, რომ ისინი არ წასულიყვნენ ოსმალეთში, ამის მსურველნი თვით ქართველ მაჰმადიანებშიც იყვნენ, როგორც, მაგალითად, გულო კაიკაციშვილი, დედი ნიჟარაძე, მაგრამ მაინც არ იშლიდნენ და მიდიოდნენ.

1887 წ. ბათუმში გაიხსნა ქართველ მაჰმადიანთა სკოლა, ქარ. შორის წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების თაოსნობით, რომელშიაც ბევრმა ქართველ მაჰმადიანმა მიიღო სწავლა-განვითარება.

1890 წ. მე დავიწყე მგზავრობა და პირველად მივედი ქობულეთში. იქ პირველად მე მივიტანე ქართული წიგნებია ეს ამბვი ქობულეთში გაუხარდათ, წიგნები სიამოვნებით მიიღეს. მე ვსცხოვრობდი რეჯებ ნიჯარაძესთან, რომელიც დიდ დახმარებას მიწევდნენ წიგნების გავრცელებაში, ასევე გ. კაიკაციშვილი. იმავე წელს ქობულეთიდან მე გადაველი ქვედა აჭარას და მაჭახელშიც შევედი აქედან ლიგანის ხევში და სხვაგანაც.

1891 წ. მეორეთ წავედი. აჭარის წყალზედ რომ მივედი იქ იყო იმ დროს ლუკა ანდღულაძე ვახმეისტრათ. იგი დიდათ ეხმარებოდა აჭარლებს და ბევრს ქართულ წიგნსაც. ასწავლიდა, რითაც დიდი სამსახური მიუძღვის ჩვენი ერის ისტორიის წინაშე. იმავე დროს მე ავედი ბორჩხაში და იქაც ვნახე იქაური ვახმეისტერი ივანე ჯაიანი. ამ პირს დიდათ გაუხარდა ჩემი იქ მისვლა. მას ჰქონდა სკოლა და ქართველ მაჰმადიანთა ბალღებს წერა-კითხვას ასწავლიდა. ამის შემდეგ იქიდამ ვიმოგზავრე ართვინამდის, რის შემდეგ დავბრუნდი ქედაში და აქაც დავრჩი ერთ თვეს და, დიდძალი წიგ-

ნები დავარიგე.

აქ მსახურობდა უფროსად ტუპამ ბეგ შარვაშიძე. მისი ხელ-ქვეითი იყო სიმონ იოსელიანი და საქმის მწარმოებელი კოლია ლო-რთქიფანიძე. ყველა ესენი დიდ სიკეთეს სთესდნენ, ქართველ მაჰმა-დიანების დამხმარებელნი იყვნენ და არა მოხელენი. მეც დიდათ მიწ-ყობდენ ხელს, მეხმარებოდა აბდულ ეფენდი მიქელაძეც, რომელიც იმ დროს ქართულ გაზეთებში წერილებს სწერდა აჭარიდან. აქ და-ვარიგე მე რამდენიმე ათასი ქართული წიგნები. ბევრ სოფლებში ბავშვებს ქართული ანბანის კითხვაც ვასწავლე. აქედან წავედი ზე-განს, ანუ ზედა აჭარაში. იქ დამხვდა ვასო დეკანოზოვი და მისი უფ-როსი ბერიძე და ხოჯა ნური ეფენდი ბერაძე. ყველა ამათ მე დი-დათ შემიწყეს ხელი ქართული წიგნების გავრცელებაში, ზეგანში ქართულმა წიგნებმა კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

ამის შემდეგ მე იქ მუდამ წელწადს ვმგზავრობდი, სადაც მიმ-ქონდა ქართული სხვა და სხვა წიგნები გასავრცელებლათ, თან ბავ-შვებს ვასწავლიდი ქართულ წიგნების კიზხვას. წიგნები იყო არსე-ნას ლექსი, ქალვაჟიანი, ქართველ მაჰმადიანთ ლექსები და მრავალი სხვები. ამასთანავე ერთად ხალხში ვკრეფდი და იქვე ვსწერდი ის-

ტორიისთვის საყურადღებო ძველ ამბებს, რომლებიც ჯერ ჟურნალ გაზეთებში დავბეჭდე და შემდეგ ექვს წიგნათ გამოვეცი. მთელი ათი წელწადი მეტი ვსწერე აჭარლების შესახებ.

1894 წ. ქართველ მაჰმადიანებში გამოჩნდნენ ისეთი კაცები, ჩემს იქ მისვლას ყოველთვის დიდის სიხარულით ხვდებოდნენ. ბევრ-მა მათგანმა ისე შეისწავლეს კითხვა, რომ ქართულ გაზეთებშიაც კი დაიწყეს წერა. ასეთი იყო ჰასან ციციანი, აჭარის სოფ. ზენდიდში მცხოვრებელი.

1906 წ. ქართველი მაჰმადიანები ისე დაწინაურდნენ, რომ მათ ფეხი გამოდგეს ყველა საკულტურო საქმეებში სამუშაოთ, როგორც მაგალითად, ქართულ მწერლობაში, სათეატრო საქმეებში და ეროვ-ნულ-კულტურულ აღმშენებლობაში. მათ შეიგნეს ის ჭეშმარიტება, რომ ისინი იყვნენ ქართველი მაჰმადიანები, ენით ქართველნი და არა თათრები.

იმედი გვაქვს, რომ ისინი მხურვალე მონაწილეობას მიიღებენ

და ჩაებმებიან თავიანთ ერის განთავისუფლების უღელში.

1896 წ. შემდეგ ქართველ მაჰმადიან ქალებმაც შეიგნეს თავიანთი მონური და კარჩაკეტილი ცხოვრება. ეს იქიდანაც სჩანს, რომ 1908 წელს ორი ქალი შევიდა მოწაფეთ მაშინდელ ქართულ სკოლაში. დღეს კი კომ. მთავრობის ხანაში მათ უმაღლეს წერტილამდის მიაღწიეს, _ ბათუმის საშუალო სასწავლებელი გაათავეს და ტფილისის უნივერსიტეტში შევიდნენ. ცხადია, რომ ეს ქალები სათანადო ადგილებს დაიკავებენ ქართველ მაჰმადიანთა ისტორიის შემდეგ მსვლელობაში.

იყო დრო როდესაც რომ ქართველი მაჰმადიანი ქალები, მიუხედავათ თავიანთი კარჩაკეტილობისა, ქართული ენა წმინდათ შეინახეს და დაიცეს. ამაზედ კი ისინი დიდი მადლობის ღირსინი არიან.

1921 წ. თებერვლის 25 მოხდა საქართველოს გასაბჭოება. ამ გარემოებამ თავისი შთაბეჭდილება დაატყო ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრებას. ახალმა, კომუნისტურმა წესწყობილებამ მძლავრათ შეანჯღრია და დაამხო ქართველ მაჰმადიანთა ძველი, დამპალი, ცხოვრება, გამოფხიზლდა აჭარისტანის ხალხი.

კომუნისტური მთავრობის დაარსებით, ქართველ მაჰმადიანთა ყოფა-ცხოვრება სულ მთლად გადახალისდა და გაუმჯობესდა.

აჭარისტანის ნათელი, სასარგებლო და ხალხის მოკეთე მთავრობის დახმარებით, დღეს ქართველი მაჰმადიანების ცხოვრება დიდათ ბრწყინავს განათლების და განვითარების გზაზედ შემდგარი

ცხოვრებით. დღეს ქართველი მაჰმადიანები ჩაბმული არიან დიდ აღ- ი მშენებლობითი მუშაობაში და ისინი აღარ არიან ის, რაც იყვნენ წინეთ. ქართველ მაჰმადიანებში გაიღვიძა კომუნიზმის სწავლის სურვილმა, შეგნებამ.

მაშ გაუმარჯოს განახლებულ აჭარისტანს, მის დღევანდელ მთავრობას, ვუსურვებდე მას გაძრიელებას საქართველოს კომუნისტურ მთავრობასთან ერთად.

1926 წ. აჭარაში ძირიან-ფესვიანათ ამოვარდა ძველი ცხოვრების წესები და მის საძირკველზედ აღიმართა და დამყარდა ახალი, კომუნისტური წეს-წყობილება, კომუნისტური მთავრობა. მათში თურქოფილებასაც სახე დაუბნელდა, იგი გამოაშკარავებულ და დაგმო-

ბილ იქმნა. დღეს აჭარისტანის მთავრობა სდგას გამოფხიზლების გზაზედ და იგინი თავიანთ მაშვრალ ქვეყანას დიდის ერთგულებით და თავდადებით ემსახურებიან. მაშ გაუმარჯოს აჭარისტანის მთავრობას რომელიც მძლავრათ და მხნეთ უწყობს ხელს ქართველ მაჰმადიანთა შვილების განათლების საქმეს, როგორც ვაჟების, ისე ქალების.

აჭარაში დღეს მრავლათ შენდება სკოლები, იმართება წარმოდგენები, კონცერტები, კინოები, იხსნება აფთიაქები, სამკითხველოები, თავშესაფარი სახლები, კოოპერატივები და სხვები.

ტყუილათ კი არ უთქვამს პოეტ ალ. ჭავჭავაძეს:

განახლდა და ეშვათ აჭარელთ სასოება,
რომე მუნით შევიდეს მათ შორის განათლება,

1927 წ. ე. ი. დღეს, ყველა აჭარელი ვალდებულია გამოიჩინოს აჭარისტანის მთავრობის წინაშე დიდი ერთგულება და მხნეთ ჩაებნენ მთავრობის უღელში, მათ უნდა გაუწიონ მთავრობას დიდი ერთგულება და ქომაგობა, რომ აჭარის ხალხის ერთგული და მოკეთე მთავრობა გაძლიერდეს, აღორძინდეს ის და წინ წავიდეს.

მაშ კიდევ გაუმარჯოს აჭარისტანის მთავრობას და მის ხალხს!

-30-

ქართველ მაჰმადიანთა შესახებ ჩემი დაბეჭდილი წიგნები:

1. ისტორია ოსმალეთის ყოფილი საქართველოსი, დაიბეჭდა 1912 წელს (აღარ არის).
2. მუსულმანი ქართველები და მათი სოფლები საქართველოში, დაიბეჭდა 1913 წ. (აღარ არის).
3. ქართველების გამაჰმადიანება, დაიბეჭდა 1915 წ. (აღარაა).
4. ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება 1916 წ. (აღარ არის).
5. ქართველ მაჰმადიანთა გარდასახლება ოსმალეთში, ანუ „მუჰაჯარ“ ემიგრაცია, 1912 წ. აღარ არის.

6. მუსულმან ქართველთ საქართველო, მოკლე ისტორია 1909 წელი (აღარ არის).

7. ოსმალეთის საქართველოს ნაწილი ლაზისტანი.

8. ოსმალეთის საქართველოს ისტორიის კონსპექტი.

დაუბეჭდავი წერილები:

1. ქართველ მაჰმადიანთა ცრუმორწმუნოება და მათი ცხოვრების იარები.

2. სამუსულმანო საქართველო და საქართველოს ოსმალთაგან დაპყრობა 1580 წ.

3. ქართველ მაჰმადიანთ ისტორიის შესახებ სხვა და სხვა მასალები 1580 წლიდამ.

4. ქართველ მაჰმადიანთა დედაკაცები და მათი ამაგი ქართული ენის წინაშე.

5. ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება 40 წლის წინეთ და დღეს.

6. ქართველ მაჰმადიანთა ღარიბ-ღატაკნი ანუ ფუხარა.

7. სწავლის საქმე ქართველ მაჰმადიანებში და არაბული ანბანის სწავლის სიძნელე.

8. ქართველ მაჰმაოიანთა კულტურული საზოგადოების დაარსების ისტორია.

9. სამცხე-საათაბაგო, ანუ ოსმალოს საქართველოს მოკლე აღწერა.

10. ოსმალოს, საქართველო და ქართველი მაჰმადიანები.

11. ქართველების გათურქება ანუ ისლამთან დაკავშირება.

12. გურჯისტანის ქალი და მრავალცოლიანობა მათში.

13. ქართველ მაჰმადიანთა ძენი რა ენით უნდა განათლდენ.

14. ქართველ მაჰმადიანთ კულტურული ისტორიის პირობები.

15. სამცხე-საათაბაგოს შეერთება ოსმალოსთა და მათი პირობები.

16. ქართ. მაჰმადიანებმა ზოგ ალაგას დაჟკარგეს ქართული ენა.

17. სამთსულმანო საქართველო 1801 წ. შემდეგ.

18. ქართველ მაჰმადიანთ სასულიერო წოდება და მათი განათლების ავკარგიანობა.

19. ქართული ენის დაწერა და კითხვის მცოდნე ქართველი მაჰმადიანები 1640 წ.

20. ქართველ მაჰმადიანთ სასულიერო წოდება და მათი დაშხამული პირობები.

21. ქართველ მაჰმადიანთ რათა სძულთ ქართული ენა და საქართველოს ხსენება.

22. ოსმალთაგან სამცხესდაპყრობა და ქართველების გათურქება.

23. ქვედა აჭარის სოფლების აღწერა და აღნუსხვა.

24. ლიგანის ხევის სოფლები, ანუ ჭოროხის ხეობა.

25. იმერხების სოფლები ართვინის თემში.

26. მაჭახლის სოფლები ბათუმის ოლქში.

27. ზედა აჭარის სოფლები ანუ ზეგანი.

28. ქობულეთის სოფლები დაწერილია 1890 წ.

29. მურღულის ხივის სოფლები ართვინის ოლქში.

30. ქართველ მაჰმადიანთ უმეცარი მატყუარი ხოჯები ღა მოლები

31. ჩემი საუბარი ქართველ მაჰმადიანებთან მირატის ხეობაზედ.

32. ქართ. ენაზედ „ყურანის“ თარგმნის და დაბეჭდვის ისტორია

33. იონა მეუნარგეს მოგზაურობა აჭარაში და ისი ამბები.

34. ოსმალეთმა როგორ გადააგვარა და გაათურქა ქართველი ერი.

35. ოსმალთის საქართველოში ქალაქებში და დაბები.

36. ქართ. მაჰმადინთ ამბები ქართველ კათოლიკობის შესახებ

37. აჭარაში დარჩენილი ძველებური ამბები.

38. ქართ. მაჰმადიანთ მოწაფეთა სკოლის ჟურნალი „აჭარა“ # 1

39. ქართველ მაჰმადიანთა შესახეა ქართული წიგნები.

40. ქართულ ენაზედ წერილები ქართველ მაჰმადიანთა შესახებ 1804 წ. 15 ნოემბრიდამ.

41. ქართული ენის და წერა-კითხვის მოყვარენი ქართველი მაჰმადიანები.

42. ქართველ მაჰმადიანთა მოტრფიალე ხოჯები და მოლები.

43. ბათუმის აღორძინების დასაწყისი და მისი წინასწარ მეტყველი პავლე მჭედლიშვილი.

44. აჭარისტანის მთავრობის მოლოცვა ქართველ კომუნისტ მაჰმადიანების მიმართ.

45. გათურქებულ ქართველ მაჰმადიანთა შესახებ გულუა კაი-

კაციშვილი.

46. ართვინის და შავშეთის ქართველი მაჰმადიანები და გასომხებული ქართველბი.

47. ტუპაშბეგ შარვაშიძე-ორცველი და მისი შრომა აჭარაში.

48. ქურთოღლის აბანო ბათუმში, ქართველი მაჰმადიანები და ლაზები.

49. გულაო აღა ჰასანიძე კაიკაციშვილი 1840 _ 1923 წ.წ.

50.ქართ. მაჰმადიანებისა და ლაზების გადასახლება ოსმალეთში

51. ინდოეთის ქართველები, წერილი პირველი.

52. ლაზისტანი, ჭანეთი (ჭენეთი), სვანეთი (სვენეთი) და აფხაზეთი

53. ქართველი ტომის ცხოვრების დასაწყისი და მათი კულტურულათ აღორძინება აჭარაში.

54. ქართველები აფრიკაში 1713 _ 1890 წ.

55. ოსმალოს საქართველო უძველესის დროიდგან და მისი ისტორია.

56. გეგმა ქართველ მაჰმადიანთა ისტორიისა.

57. ისტორია ოსმალეთის ყოფ. საქართველოს უძველეს დროიდან

58. ქართველების გათათრება ანუ ისლამთან აკავშირება.

59. ქართველ მაჰმადიანთ ცხოვრება და ძველეფურ ამბების გადმოცემანი ზეპირად.

60. მოკლე ისტორია ოსმალეთის ყოფ. ქართ. მაჰმადიანებისა.

61. აჭარლების ღალატის ამბები და ისი მოგონების ჭორები.

62. ოსმალთაგან ბათუმის დატოვების ამბავი 1878 წ.

63. ჰასან ეფენდი ვერძაძე, მუფთი და მისი მოკვლა რუსის ხულიგანებისაგან.

64. ქართველ მაჰმადიანთა დეპუტაცია ინგლისის კორალევას წინაშე 1878 წ.

65. ქართველ მაჰმადიანთ ღალატი მუსულმან მამაპაპათა წინაშე

66. ბათომის ისტორია და მისი უძველეს დროის ამბები.

67. ბათომის პირველად პორტ-ფრანკოთ გამოცხადება და მისი ისტორიაი.

68. სელიმ ფაშა ხიმშიაშვილის კავშირი ნაპალიონ იმპერატორთან

69. გულუა კაიკაციშვილის ნაამბობი ქართ. მაჰმად. შესახებ.

70. სერგეი მესხის მოგზაურობა ქართ. მაჰმადიანებში 1878 წ

71. ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძის მოგზაურობა ქარველ მაჰ-
მადიანებში.

72. ქართული წიგნების გავრცელება ქართველ მაჰმადიანებში
1890 წლიდამ.

73. გრიგორ გურიელის შრომა და ამაგი ქართ. მაჰმადიანებზედ

74. გიორგი ყაზბეგის მოგზაურობა აჭარაში და მისი ნაწერები

75. მესხი ივნნე გვარამაძეს ნიწერები აჭარაზედ.

76. შავშეთში ქართულ ენის დაკარგვის ამბავი.

77. ვედენბაუმის აზრები ქართველ მაჰმადიანთა შესახებ.

78. სოლომონ ასლანიშვილის შრომა ქართველ მაჰმადიანებზე.

79. რუსის მონარქისტების აზრი, რომ ქართველი მაჰმადიანე-
ბი იყვნენ თურქები და არა ქართველები.

80. როგორ უკრძალავდა რუსის მონარქიული მთავრობა ქართ.
მაჰმადიანებს ქართული წიგნების კითხვას და მათი ბავშვების დასჯა.